პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
14 ოქტომბერი
1939 წ.
№ 236 (5636)
ფასი 10 კაპ.

კოლექტიურობა პარტიულ ხელმძღვანელობაში

ბოლშევიკთა პარტიის XVIII ყრილობაზე მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა **სტალინმა** ამოცანად დაგვისახა „მივუახლოვოთ ხელმძღვანელი ორგანოები ძირეულ მუშაობას, რათა მათი ხელმძღვანელი მუშაობა გავხადოთ სულ უფროდაუფრო ოპერატიული და კონკრეტული, რაც შეიძლება ნაკლებად სასხდომო ხასიათისა და ნაკლებად კანცელარული“.

დიდი ბელადის ამ ბრძნული დირექტივის განხორციელების საქმეში ერთერთ უაღრესად მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა მიახლოვება კონკრეტულ ძირეულ მუშაობასთან, პარტიულ ხელმძღვანელობაში პარტიული აქტივის ფართოდ ჩაბმა, მათი თვითმოქმედებისა და თაოსნობის ყოველმხრივ წახალისება, კოლექტიურობის მტკიცედ დანერგვა პარტიულ ხელმძღვანელობაში.

ჩვენი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების უკანასკნელი არჩევნების დროს პარტიულ ხელმძღვანელობაში არჩეულ იქნენ ათასობით ახალგაზრდა კადრები, ახალი ადამიანები, რომლებმაც ახალგაზრდული ენტუზიაზმი და ხალისი შეიტანეს მუშაობაში, ისინი აქტიურად ჩაებნენ პარტიული ხელმძღვანელობის საქმეში, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა მზრუნველი ხელმძღვანელობითა და დახმარებით მალე დაეუფლნენ პოლიტიკური და სამეურნეო მოღვაწეობის ბოლშევიკურ ჩვევებს, აღიზარდნენ პრაქტიკულ საქმიანობაში. ამის შედეგად მრავალი ასეული ამხანაგი იქნა დაწინაურებული კიდევ უფრო მეტად საპასუხისმგებლო პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვ. ხელმძღვანელ სამუშაოზე. მაგალითად, თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პლენუმის შემადგენლობიდან (41 კაცი) საპასუხისმგებლო სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 11 ამხანაგი. მათგან საგრძნობი ნაწილი წამოყენებულია რაიონულ და საქალაქო ხელმძღვანელ სამუშაოზე, ხოლო ამხ. დ. ლევინი დაწინაურებულ იქნა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ინსტრუქტორად.

ქალაქკომებმა, რაიკომებმა, პარტიულმა ბიუროებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა პარტიულ აქტივთან, ჩააბეს აქტივი პარტიულ სახელმძღვანელო მუშაობაში, აძლევენ მათ გარკვეულ პარტიულ დავალებებს, იწვევენ მათ ამა თუ იმ საკითხის მომზადებაში მონაწილეობის მისაღებად და ა. შ.

ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა კომუნისტთა ინიციატივა. ისინი ახალახალ საკითხებს აყენებენ. ხორცკომბინატის პარტბიუროს მდივანმა 26 კომისრის სახელობის რაიკომში დააყენა საკითხი პარტბიუროს მდივნის მოადგილეებთან მუშაობის შესახებ და ითხოვა დახმარება ამ საქმეში. რაიკომი ყურადღებით მოეპყრო ამ საკითხს, ჩაატარა პარტორგანიზაციათა ბიუროს მდივნებისა და მათი მოადგილეების სპეციალური თათბირი და მისცა მათ პრაქტიკული მითითებანი მომავალი მუშაობისათვის.

მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები ჯერ კიდევ ნაკლებად აქცევენ ყურადღებას პარტიულ ხელმძღვანელობაში პარტიის აქტივის ჩაბმას. ზოგან მთელ საქმიანობას წარმართავენ პარტიული აპარატის შტატის მუშაკები, ხოლო პარტიული აქტივი სუსტად მონაწილეობს ყოველდღიურ ხელმძღვანელ მუშაობაში. პლენუმის ყველა წევრები გამოყენებული არ არიან ძირეული პარტიული მუშაობის დაყენებაში. ხშირად მათი მუშაობა მხოლოდ ბიუროსა და პლენუმის სხდომებზე დასწრებით განისაზღვრება. მაგალითად, ნაკლებად არიან ჩაბმული რაიკომის ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პლენუმის წევრები ა. ბალდასაროვი, ზ. ბაგიროვა, მარო ხურცია და სხვ. რაიკომი არ აძლევს მათ დავალებებს, არ იყენებს მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმების საქმეში და ა. შ. მსგავს ნაკლოვანებებს თავისებური მეტნაკლებობით სხვა რაიკომთა მუშაობაშიც აქვს ადგილი.

უფრო სუსტად მუშაობენ ამ მხრივ მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბიუროები. მაგალითად, პარტბიუროს წევრთა ჩაბმა პრაქტიკულ მუშაობაში ვერ შესძლო ამიერ-კავკასიის რკინიგზის სამმართველოს პარტორგანიზაციის ბიუროს ყოფ. მდივანმა მაღრაძემ. ბიუროს წევრები კოკონაშვილი, ჩემენევი, ზეიცი და სხვ. არ მონაწილეობდნენ მუშაობაში. ბიურო უმოქმედობას იჩენდა. ამის შედეგად ბიურომ ვერ შესძლო პარტიული და სამეურნეო მუშაობის შეთავსება, ყურადღებას არ აქცევდა პარტიული პროპაგანდის დაყენებას, პარტიაში მიღების საქმეში ადგილი ჰქონდა ხელაღებით მიდგომას და სხვ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ეს უმოქმედო პარტიული ბიურო გადარჩეულ იქნა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ჩატარდა საამქროთა პარტორგანიზაციების ჩამოყალიბება. თბილისის 28 მსხვილ საწარმოსა და დაწესებულებაში საამქროთა პარტორგანიზაციების ბიუროების შემადგენლობაში არჩეულია 550-მდე ამხანაგი. მათგან მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი პირველად არის არჩეული ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოში. მათ არა აქვთ მუშაობის საჭირო გამოცდილება, ამიტომ ისინი განსაკუთრებით საჭიროებენ ყოველდღიურ დახმარებასა და ხელმძღვანელობას. მაგრამ ზოგიერთ საწარმოთა პარტიული ბიუროები და აგრეთვე რაიკომებიც სათანადო დახმარებას არ უწევენ მათ. ამის გამო საამქროთა ცალკეულმა ბიუროებმა ჯერ კიდევ ვერ გაართვეს თავი მუშაობას. ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის პირველი კორპუსის პარტიულმა ბიურომ დღემდე ვერ გაშალა მუშაობა. აქ სამი თვის განმავლობაში ერთხელაც არ მოუწვევიათ ბიუროს სხდომა, ბიუროს წევრები არ მონაწილეობენ მუშაობაში, მათ არ იციან საიდან დაიწყონ. ფაბრიკის პარტიული ბიურო კი არ დაეხმარა მათ. ასევე ნაკლებად ეხმარება საამქროს პარტორგანიზაციათა ბიუროებს № 1 სამკერვალო ფაბრიკის პარტბიურო. უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის რაიკომებიც ვერ აქცევენ ამ საქმეს სათანადო ყურადღებას.

ამგვარად, ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის დანერგვის საქმეში ჯერ კიდევ მრავალ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი. პარტიულმა ორგანიზაციებმა და პირველ რიგში ხელმძღვანელმა პარტიულმა ორგანოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ამ ნაკლთა აღმოფხვრას.

პარტიულ ხელმძღვანელობაში კოლექტიურობის ნამდვილად გატარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ დანერგვას, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაბედულად გაშლას. მოურიდებელი და საქმიანი თვითკრიტიკა ყოველგვარ ნაკლთა აღმოფხვრის უძლიერესი იარაღია.

„ბოლშევიკური შინაპარტიული დემოკრატიის დედაარსი, როგორც ეს არაერთხელ უსწავლებია ჩვენთვის ამხანაგ სტალინს, გამოიხატება პარტიის წევრთა თვითმოქმედების, პარტიულ ხელმძღვანელობაში მათი აქტიური მონაწილეობის საკითხში“ (ა. ჟდანოვი). შინაპარტიული დემოკრატიზმის მტკიცედ გატარება აამაღლებს პარტიული მასების აქტივობას, ხელს შეუწყობს პარტიული აქტივის მიზიდვას პრაქტიკულ მუშაობაში. კომუნისტები, მონაწილეობენ რა პარტიული ორგანოს მუშაობაში, იზრდებიან ხელმძღვანელობის კოლექტიურობის სულისკვეთებით, ეჩვევიან საერთო ძალით საკითხების გადაწყვეტას. ისინი შეავსებენ ხელმძღვანელთა გამოცდილებას თავიანთი გამოცდილებით, პარტიული მასების გამოცდილებით. ამავე დროს პარტიული ბიურო (კომიტეტი) შესძლებს პარტიული აქტივის მონაწილეობით უფრო სწორად და დროულად გადასწყვიტოს მის წინაშე წამოჭრილი ყოველგვარი საკითხი.

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოს მუშაობაში მონაწილეობა სერიოზული პრაქტიკული სკოლაა. ფართოდ უნდა ჩავაბათ მასში აქტიური კომუნისტები, აქტიურად მივაღებინოთ მათ მონაწილეობა ყოველდღიურ საქმიანობაში, მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებაში, მომავალი მუშაობის გეგმების შედგენასა და განხილვაში და სხვ. რაიკომებმა და ქალაქკომებმა უფრო ხშირად უნდა მოიწვიონ პარტიული აქტივის კრებები და უზრუნველჰყონ ამ კრებებზე პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი დირექტივების საქმიანი განხილვა.

ხელმძღვანელ ორგანოში არჩეული თვითეული ამხანაგი ყოველდღიურად უნდა მონაწილეობდეს მის მუშაობაში, ამზადებდეს ცალკე საკითხებს სხდომაზე განსახილველად, ეცნობოდეს და ეხმარებოდეს მუშაობაში პირველადს პარტორგანიზაციებს. იგი უნდა გრძნობდეს სრულ პასუხისმგებლობას ამ ორგანოს მუშაობისათვის პარტიული ბიუროს (კომიტეტის) მდივანთან ერთად. ასეთი მუშაობა დიდად შეუწყობს ხელს ახალი კადრების აღზრდას, კოლექტიურობის ნამდვილად გატარებას ხელმძღვანელობაში და უზრუნველჰყოფს დიდი ბელადის, ამხანაგ **სტალინის** მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

„მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ კურსის ცოდნის შემოწმება

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა განიხილა სტუდენტების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კურსის ცოდნის შემოწმების საკითხი. კურსის განვლილი ნაწილის ჩათვლების ჩაბარების შემდეგ მთელი კურსის ცოდნის შემოწმება მოეწყობა გამოცდის სახით. იმ სტუდენტებმა, რომელნიც უმაღლეს სასწავლებლებში წელს მიიღეს, „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ კურსის შესწავლის ორი წლის განმავლობაში უნდა ჩააბარონ სამი ჩათვლა (თვითეული სემესტრის ბოლოს) და ერთი გამოცდა მეოთხე სემესტრის ბოლოს. კურსდამთავრებული სტუდენტები გამოცდას აბარებენ სალექციო კურსის დამთავრების შემდეგ — 1939-1940 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ბოლოს.

კომიტეტმა გადასწყვიტა მომავალი წლის იანვრიდან „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების“ კურსისათვის დააწესოს სახელმწიფო გამოცდები. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო გამოცდებში ამ დისციპლინასთან ერთად 5 საგანზე მეტია შეტანილი, სტუდენტებს უფლება ეძლევათ ორი ვიწროსპეციალური დისციპლინიდან ერთერთი ჩააბარონ შერჩევით. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა ლატვიის სავაჭრო დელეგაცია

12 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა ლატვიის სავაჭრო დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: დელეგაციის თავმჯდომარე ბ-ნი ა. ბერზინში — ლატვიის სავაჭრო-სამრეწველო კამერის თავმჯდომარე, დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ა. კამპე—ლატვიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი და დელეგაციის წევრები: ბ-ნი ი. სკუევიცი, ბ-ნი ჟ. შენბერგსი, ბ-ნი ა. ტომსონსი, ბ-ნი ი. ზიბარტსი, ბ-ნი მ. კალნინში.

ჩამოსულთ ბელორუსიის ვაგზალზე შეეგებნენ: საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. მ. ს. სტეპანოვი, სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლატვიაში ამხ. ი. ს. ზოტოვი, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი ლატვიაში ამხ. ვ. ი. ტერენტიევი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. პ. ვასიუკოვი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სავაჭრო ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი ამხ. დ. დ. მიშუსტინი, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის უფროსი ამხ. ს. ა. ვშივკოვი და შემადგენლობა ლატვიის მისიისა მოსკოვში საგანგებო ელჩისა და სრულუფლებიანი მინისტრის ბ-ნ ფ. კოცინშის მეთაურობით. (საკდესი).

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ცენტრალური შერეული სასაზღვრო კომისიის შექმნა

საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის 1939 წლის 28 სექტემბერს დადებული მეგობრობისა და საზღვრის შესახებ ხელშეკრულების იმ დამატებითი ოქმის შესაბამისად, რომელსაც 4 ოქტომბერს ხელი მოაწერეს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და გერმანიის მოსკოვში ელჩმა გრაფმა ფონ-დერ შულენბურგმა, შექმნილია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის შერეული სასაზღვრო კომისია სსრ კავშირისა და გერმანიის სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის საზღვრის დემარკაციისათვის.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ აღნიშნულ ცენტრალურ სასაზღვრო კომისიაში დანიშნულია საბჭოთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. ა. მ. ალექსანდროვი, (საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან) და წევრები: ბრიგადის მეთაური ამხ. ვ. დ. ივანოვი და მაიორი ამხ. ვ. პ. ალექსანდროვი (თავდაცვის სახალხო კომისარიატისაგან) და პოლკოვნიკი ამხ. ა. მ. ლეონტიევი (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესაზღვრე ჯარისაგან).

1939 წლის 10 ოქტომბერს ცენტრალური შერეული სასაზღვრო კომისია შეუდგა თავის მუშაობას ქალ. მოსკოვში. (საკდესი).

საბჭოთა სამხედრო გემები ტალინს მივიდნენ

ტალინი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ტალინში საბჭოთა სამი გემის ჩასვლის ცნობამ დიდი ინტერესი გამოიწვია მოსახლეობაში. გემები ტალინის რეიდში სრულ 4 საათზე შევიდნენ. მათს მისვლამდე ერთი საათით წინ ნავსადგურში უკვე შეიყარა ხალხი და მათ შორის გაცხოველებული საუბარი სწარმოებდა. საბჭოთა ნაღმოსნების შესახვედრად გამოვიდა ორი კატარღა: ერთ მათგანს ოფიცერ—ლეიტენანტი ტებუსი ახლდა კავშირისათვის, მეორეზე იყვნენ საბჭოთა კავშირის სამხედრო ატაშე ესტონეთში ამხ. ჯუკანოვი და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი ამხ. ბოჩკაროვი. ბოლოს გამოჩნდა საბჭოთა სამი გემიც. წინ მოდიოდა ლიდერი „მინსკი“, რომელზედაც იყვნენ რაზმის მეთაური—პირველი რანგის კაპიტანი ამხ. პტოხოვი და მეთაური ამხ. პეტროვი. ლიდერს მოჰყვებოდნენ გემები „გორდი“ და „სმეტლივი“. ოფიცერ-ლეიტენანტმა ტებუსმა უჩვენა ნაღმოსნების სადგომი ტალინის რეიდში. რეიდში შესვლისას ლიდერმა-ნაღმოსანმა ესტონეთის ნაციონალური ბაირაღი აღმართა და სალამი მისცა ესტონეთის ერს ქვემეხის 21 სროლით. ამ დროს საბჭოთა ნაღმოსნების საპარადო ფორმით გამოწყობილი გუნდები ფრონტში იდგნენ. საპასუხო სალამი მისცა ტალინის სანაპირო ბატარეამ.

დაახლოებით 6 საათზე საბჭოთა კატარღა რაზმის მეთაურ ამხ. პტოხოვთან ერთად ნაპირს მიადგა. ხალხი გულმხურვალედ შეხვდა საბჭოთა მეთაურებს და მიაცილა ისინი ავტომობილამდე.

ლანჩხუთის რაიონმა შეასრულა ჩაის კრეფის გეგმა

ლანჩხუთი, („კომუნისტის“ კორ.). რაიონმა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის წლიური გეგმა 10 ოქტომბრისათვის 100,7 პროცენტით შეასრულა. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 3.370.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.350.000 კილოგრამისა. მოკრეფილი ფოთლის 75 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ჩაის ფოთლის კრეფა გრძელდება.

ა. სარჯველაძე

მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის მთავრობის რწმუნებული ბ-ნი ი. კ. პაასიკივი

ა. წ. 11 ოქტომბერს მოსკოვს ჩამოვიდა ფინეთის მთავრობის რწმუნებული ბ-ნი ი. კ. პაასიკივი სსრ კავშირსა და ფინეთს შორის პოლიტიკურ და ეკონომიურ საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

ბ-ნი ი. კ. პაასიკივს თან ახლავან ბ-ნი ა. პაასონენი და ბ-ნი ი. ნიუკოპი.

ლენინგრადის ვაგზალზე ბ-ნი ი. კ. პაასიკივს შეეგებნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ვ. ნ. ბარკოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგე ამხ. ა. პ. ვასიუკოვი, ფინეთის მისიის შემადგენლობა საგანგებო ელჩისა და სრულუფლებიანი მინისტრის ბ-ნ ა. ირიე-კოსკინენის მეთაურობით და შვეციის საგანგებო ელჩი და სრულუფლებიანი მინისტრი ბ-ნი ნ. ვინტერი.

ამხ. მოლოტოვმა მიიღო ფინეთის მთავრობის რწმუნებული ბ-ნი ი. კ. პაასიკივი

12 ოქტომბერს გაიმართა ამხ. მოლოტოვის საუბარი ფინეთის მთავრობის რწმუნებულ ბ-ნ პაასიკივთან. საუბარში მონაწილეობა მიიღეს ამხ. სტალინმა, პოტიომკინმა და სსრ კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ფინეთში ამხ. დერევიანსკიმ, ხოლო ფინეთის მხრივ —ფინეთის ელჩმა მოსკოვში—ბ-ნმა ირიე-კოსკინენმა და ექსპერტებმა ბ-ნმა ა. პაასონენმა და ბ-ნმა ი. ნიუკოპმა.

საუბარმა ერთ საათზე მეტს გასტანა.

სადილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ი. ურბშისის პატივსაცემად

ა.-წ. 11 ოქტომბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა სადილი გამართა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ი. ურბშისის პატივსაცემად.

სადილს დაესწრნენ: ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ბიზაუსკასი, არმიის სარდალი გენერალი ბ-ნი ს. რაშტიკისი, ლიტვის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ლ. ნატკევიჩიუსი, ეკონომიური დეპარტამენტის დირექტორი ბ-ნი ი. ნორკაიტისი, მისიის მრჩეველი ბ-ნი ლ. ბაგდანასი და ბ-ნი გ. პეტკევიჩიუსი, ზასკევიჩიუსი, რუპშისი, მონტვილა, შველნიკასი, ჩერკელიუნასი, ვილიმასი, კრივიცკასი, ტალაჩ-კელაშა, მეილუსი.

ხსენებულ პირთა გარდა სადილს დაესწრნენ: ამხ. ი. ბ. სტალინი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, მ. ი. კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ა. ბულგანინი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. გ. კუზნეცოვი, ი. ვ. სმოროდინოვი, ა. ფ. გორკინი, ვ. პ. პრონინი, ვ. პ. პოტიომკინი, ვ. გ. დეკანოზოვი, ს. ა. ლოზოვსკი, ნ. გ. პოზდნიაკოვი, ი. ი. ლაპშოვი, ს. პ. კოზირევი, ს. ა. ეფანოვი, რ. პ. ხმელნიცკი, ა. ა. სობოლევი, ვ. ნ. ბარკოვი, ი. მ. კოროტკიხი, დ. მ. კუროპტევი, ა. ა. შჩეგლოვი, ბ. გ. პონტიკოვი.

სადილის დროს ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა და ბ-ნმა ურბშისმა მისასალმებელი სიტყვით მიჰმართეს ერთმანეთს. სადილმა გულმხურვალე და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ბ-ნ ურბშისის წასვლა მოსკოვიდან

ა. წ. 11 ოქტომბერს მოსკოვიდან წავიდა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ი. ურბშისი.

მასთან ერთად წავიდნენ ლიტვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი კ. ბიზაუსკასი, არმიის სარდალი გენერალი ბ-ნი ს. რაშტიკისი, გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ბ-ნი რუპშისი, საგარეო საქმეთა სამინისტროს იურისკონსულტი ბ-ნი პეტკევიჩიუსი, მინისტრის პირადი მდივანი ბ-ნი შველნიკასი, იურისკონსულტის თანაშემწე ბ-ნი კრივიცკასი.

ბელორუსიის ვაგზალზე ისინი გააცილეს: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ს. ა. ლოზოვსკიმ, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. მ. ს. სტეპანოვმა, მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ კორპუსის სარდალმა ამხ. ი. ვ. სმოროდინოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მ. ა. იასნოვმა, სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ლიტვაში ამხ. ნ. გ. პოზდნიაკოვმა, სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა ლიტვაში ამხ. ს. ა. ეფანოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ნ. ბარკოვმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ბალტიისპირა ქვეყნების განყოფილების გამგემ ამხ. ა. პ. ვასიუკოვმა, ქალ. მოსკოვის კომენდანტმა ბრიგადის მეთაურმა ამხ. ვ. ა. რევიაკინმა, ლიტვის მოსკოვის მისიის მთელმა შემადგენლობამ საგანგებო ელჩისა და სრულუფლებიანი მინისტრ ბ-ნ ლ. ნატკევიჩიუსის მეთაურობით.

ბელორუსიის ვაგზალი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და ლიტვის ბაირაღებით. დაყენებული იყო საპატიო ყარაული.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატის გაყოფის შესახებ

გაიყოს სსრ კავშირის სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატი ორ სახალხო კომისარიატად.

1. **სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატად**, რომლის შემადგენლობაშიც შევიდეს:
   - ა) ქვანახშირის მრეწველობის საწარმოები,
   - ბ) ფიქალის მრეწველობის საწარმოები,
   - გ) ქვანახშირის მიწისქვეშა გაზიფიკაციის საწარმოები,
   - დ) ქვანახშირის მანქანათმშენებლობის ქარხნები.
2. **სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატად**, რომლის შემადგენლობაშიც შევიდეს:
   - ა) ნავთის მომპოვებელი მრეწველობის საწარმოები,
   - ბ) ნავთის გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოები,
   - გ) ხელოვნური თხევადი სათბობის მრეწველობის საწარმოები,
   - დ) ნავთის მანქანათმშენებლობის ქარხნები.
3. სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტორფის მრეწველობის („გლავტორფი“) საწარმოები გადაეცეს მოკავშირე რესპუბლიკების სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატებს.
4. საავტოგენო მრეწველობის (სრულიად-საკავშირო საავტოგენო ტრესტი) საწარმოები გადაეცეს სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1939 წლის 12 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩი** სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1939 წლის 12 ოქტომბერი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრად ამხ. ვ. ვ. ვახრუშევის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. ვასილ ვასილის-ძე **ვახრუშევი** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1939 წლის 12 ოქტომბერი.

ტირასპოლის ქალაქის საბჭოს საიუბილეო პლენუმი

ტირასპოლი, 12 ოქტომბერი (საკდესი). შესდგა ტირასპოლის ქალაქის საბჭოს საიუბილეო პლენუმი, მიძღვნილი მოლდავეთის ასს რესპუბლიკის 15 წლისთავისადმი. პლენუმის სხდომაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

მოლდავეთის ასს რესპუბლიკის 15 წლისთავის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. კონსტანტინოვი. იგი დაწვრილებით შეჩერდა მოლდავეთის ისტორიაზე და ილაპარაკა იმ უდიდეს მიღწევებზე, რომლებიც რესპუბლიკამ 15 წლის განმავლობაში მოიპოვა.

პლენუმმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნა მისალმებანი ამხანაგ **სტალინს**, ამხანაგებს **მოლოტოვს, ვოროშილოვს, კალინინსა** და **ხრუშჩოვს**. მიღებულ იქნა აგრეთვე მისალმება დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელებისადმი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ცნობებით, სამრეწველო სახალხო კომისარიატების პროდუქცია 1939 წლის იანვარ-სექტემბერში, 1938 წლის იანვარ-სექტემბერთან შედარებით, შემდეგი რაოდენობით გაიზარდა:

(მილიონ მანეთობით; 1926-27 წლის ფასებით)

	1938 წ. იანვარ-სექტემბერი	1939 წ. იანვარ-სექტემბერი	1939 წ. იანვარ-სექტემბერი 1938 წ. იანვარ-სექტემბერთან შედარებით
საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური სამრეწველო სახალხო კომისარიატებისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატების პროდუქცია	58.768,0	67.947,6	115,6
აქედან:			
სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარიატები (მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, საერთო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი, საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატი, საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, შეიარაღების სახალხო კომისარიატი, საომარ მასალათა სახალხო კომისარიატი, გემთმშენი მრეწველობის სახალხო კომისარიატი)	15.915,1	20.554,4	129,2
სსრ კავშირის სათბობ მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი	3.748,9	4.001,4	106,7
სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატი	2.787,5	3.058,3	109,7
სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი	3.964,2	4.105,5	103,6
სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სახალხო კომისარიატი	1.042,0	1.188,7	114,1
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატი	2.830,3	3.301,4	116,6
სსრ კავშირის სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატი	1.140,1	1.226,8	107,6
სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატი	2.161,1	2.267,1	104,9
სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატი	6.510,4	7.189,2	110,4
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	5.193,1	5.643,8	108,7
სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატი	7.053,6	7.889,9	111,9
სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატი	2.572,2	2.983,6	116,0
სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სახალხო კომისარიატი	647,6	733,0	130,2
სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატი	1.421,5	1.745,9	122,8
რუსეთის სფს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	1.146,1	1.329,4	116,0
უკრაინის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	442,8	509,3	115,0
ბელორუსიის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	90,6	106,2	117,2
აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	16,7	19,5	116,2
საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	36,2	40,9	112,9
სომხეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი (8 თვის ცნობები)	5,1	6,0	118,1
უზბეკეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	19,4	20,1	103,7
თურქმენეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	7,1	8,6	121,3
ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	2,0	2,3	117,8
ყაზახეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	13,0	14,5	111,6
ყირგიზეთის სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატი	1,4	1,8	131,5

უკლებლივ ყველა სამრეწველო სახალხო კომისარიატმა 1939 წლის იანვარ-სექტემბრის განმავლობაში გაადიდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვება 1938 წლის იანვარ-სექტემბერთან შედარებით.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისია

საკდესის ცნობა

იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემასა და საბჭოთა კავშირ-ლიტვის ურთიერთდახმარებაზე საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 12 ოქტომბერს მოახდინა ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოს და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ მოსკოვში 1939 წლის 10 ოქტომბერს დადებული ხელშეკრულების რატიფიკაცია.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დანიშნა ამხ. **ი. კ. სედინი** სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ და ამხ. **ა. ბ. ისკანდეროვი, მ. ა. ევსეენკო, მ. ხ. მასლენიკოვი** სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეებად.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დანიშნა ამხ. **კ. კ. კარტაშოვი** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის პირველ მოადგილედ და ამხ. **მ. ფ. გორშკოვი, ე. ტ. აბაკუმოვი** და **დ. გ. ონიკა** სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილეებად.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის ამხ. **ლ. მ. კაგანოვიჩის** თავმჯდომარეობით და შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **ი. კ. სედინი** (სახკომის პირველი მოადგილე), **ა. ბ. ისკანდეროვი** (სახკომის მოადგილე), **მ. ა. ევსეენკო** (სახკომის მოადგილე), **მ. ხ. მასლენიკოვი** (სახკომის მოადგილე), **მ. ლ. სუხოვოლსკი** (ნავთის ქარხნების მშენებლობის მთავარსამმართველოს უფროსი), **ნ. კ. ბაიბაკოვი** (აღმოსავლეთის ნავთმოპოვების მთავარსამმართველოს უფროსი), **ვ. ა. კალამკაროვი** (აღმოსავლეთის ნავთმოპოვების მთავარსამმართველოს უფროსის მოადგილე), **ვ. ა. მატვეევი** (გაზის მთავარსამმართველოს უფროსი), **პ. კ. პუჩკოვი** (კავკასიის ნავთგადამუშავების მთავარი სამმართველოს უფროსი), **ი. ს. შიროკოვი** (ნავთგასაღების მთავარ სამმართველოს უფროსი), **ვ. გ. ველიკანოვი** და **ა. ი. ბულუშევი**.

○

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგია სახალხო კომისრის ამხ. **ვ. ვ. ვახრუშევის** თავმჯდომარეობით და შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **კ. კ. კარტაშოვი** (სახკომის პირველი მოადგილე), **მ. ფ. გორშკოვი** (სახკომის მოადგილე), **ე. ტ. აბაკუმოვი** (სახკომის მოადგილე მშენებლობის დარგში), **დ. გ. ონიკი** (სახკომის მოადგილე), **ნ. დ. კასაუროვი** (დონბასისა და კავკასიის ქვანახშირის მთავარ სამმართველოს უფროსი), **ა. პ. ბონდარენკო** (ცენტრისა და ურალის ქვანახშირის მთავარსამმართველოს უფროსი), **ა. ფ. ზასიადკო** (ფიქალის მთავარსამმართველოს უფროსი), **გ. ი. სოსუნოვი** (სახკომატის ტექსაბჭოს თავმჯდომარე), **ი. ა. ულიანოვი** (ქვანახშირის გასაღების მთავარსამმართველოს უფროსი), **ნ. ა. კისელიოვი** (სახკომატის საფინანსო განყოფილების უფროსი) და **კ. ი. პოჩენკოვი** (დონბასისა და კავკასიის ქვანახშირის მთავარსამმართველოს უფროსის მოადგილე). (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში

მზადება დასავლეთ უკრაინის სახალხო კრების არჩევნებისათვის არჩევნების მომწყობ კომიტეტში

ლვოვი, 12 ოქტომბერი (საკდესი). დასავლეთ უკრაინის სახალხო (ნაციონალური) კრების არჩევნების მომწყობმა კომიტეტმა გუშინ დაამთავრა საარჩევნო ოლქების საზღვრების დაწესება. რამდენიმე დღის შემდეგ დამთავრდება მუშაობა საარჩევნო უბნების საზღვრების დასაწესებლად და საუბნო საარჩევნო კომისიების შესაქმნელად.

დამთავრდა საარჩევნო დოკუმენტების ბეჭდვა. ეს დოკუმენტები უკვე იგზავნება ადგილებზე.

ქალაქი ლვოვი ახლა დაუვიწყარ დღეებს განიცდის. ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში ტარდება ხალხმრავალი წინასაარჩევნო მიტინგები.

ქალაქის თეატრებში ყოველდღე იმართება დიდი კონცერტები. ქალაქში უკვე მუშაობს 25 კინოთეატრი.

ლვოვის კვანძის რკინიგზელებმა უკვე ჩაატარეს პირველი კომუნისტური შაბათობა რკინიგზის კვანძის აღსადგენად. აქ მოუთმენლად ელიან პირველი საბჭოთა მატარებლის მოსვლას საბჭოთა უკრაინიდან.

ქ. კოსტოპოლის მშრომელთა მიტინგი

კოსტოპოლი (დასავლეთი უკრაინა), 11 ოქტომბერი (საკდესი). დასავლეთ უკრაინის პატარა ქალაქ კოსტოპოლს არასოდეს უნახავს ესოდენ ხალხმრავალი კრება. ექვსი ათასი მუშა, გლეხი და ინტელიგენტი მოვიდა ქალაქის მოედანზე.

ტრიბუნაზეა კოსტოპოლის სამაზრო დროებითი მმართველობის წევრი ამხ. პიდუბნი.

— ამხანაგებო, — მიმართა მან შეკრებილთ, — ჩვენს მიწა-წყალზე თავისუფლების ბრწყინვალე მზე ამოვიდა, ჩაგვრასა და მონობას ბოლო მოეღო. ამჟამად ჩვენ უფლება გვაქვს თვითონ გამოვარკვიოთ ჩვენი ბედი. ჩვენმა ხალხმა უნდა გადასწყვიტოს, რა ხელისუფლება უნდა გვეყოლოს, რათა გადავწყვიტოთ საკითხი სოციალიზმის დიადი ქვეყნისადმი შეერთების შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ მთელი ჩვენი ხალხი საბჭოების ხელისუფლების დროშის ქვეშ ბედნიერი ცხოვრების გზას აირჩევს.

შეკრებილნი მქუხარე ოვაციით შეხვდნენ ამ სიტყვებს.

— კოსტოპოლის ხე-ტყის სახერხი ქარხნის მუშებმა, — სთქვა სიტყვით გამოსულმა მუშამ ამხ. ბაგნიუკმა, — დამავალეს გადმოგცეთ, რომ მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა — დასავლეთი უკრაინა საბჭოთა კავშირს შეუერთდეს. მათ დამავალეს მოგიწოდოთ, რომ თქვენც შეუერთდეთ ამ წინადადებას. ჩვენ ახალ ცხოვრებაში შევედით. გლეხებმა მიწა მიიღეს, ქარხნებსა და ფაბრიკებში მუშათა კომიტეტები აირჩიეს, ჩვენი ბავშვები დედაენაზე სწავლობენ სკოლებში. მთელი ეს ბედნიერება საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვანიჭა და ჩვენ ხმას მივცემთ დასავლეთ უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების სასარგებლოდ.

მალე ჩვენ ავირჩევთ უკრაინის სახალხო (ნაციონალური) კრების დეპუტატებს, — ამბობს ამის შემდეგ ინტელიგენციის წარმომადგენელი — კოსტოპოლის სკოლის მასწავლებელი ამხ. პოსპელოვი, — ჩვენს არჩეულთ განაწესს მივცემთ, ხმა მისცენ თავისუფლებას, საბჭოთა ხელისუფლებას. დეე იცოდნენ მიმალულმა მტრებმა: წარსული აღარ დაბრუნდება, საზიზღარი შლიახტა ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალზე ვეღარ იბოგინებს. არავის დავუთმობთ ჩვენს ბედნიერებას, ჩვენ, მთელი მშრომელი ხალხი, ინტელიგენცია ერთსულოვნად მივცემთ ხმას საბჭოთა კავშირთან შეერთებას.

ექვსათასიანმა მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომლითაც დასავლეთი უკრაინის მთელ ხალხს მოუწოდებს, ხმა მისცეს საბჭოთა ხელისუფლებას, დასავლეთი უკრაინის შეერთებას საბჭოთა კავშირთან.

მზადება დასავლეთ ბელორუსიის ოლქებში არჩეულთაგან ბელორუსიის სახალხო კრების მოწვევისათვის

ბელოსტოკი, 11 ოქტომბერი (საკდესი). მთელს დასავლეთ ბელორუსიაში დაიწყო დასავლეთ ბელორუსიის სახალხო (ნაციონალური) კრების დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო კამპანია. ბელორუსიის სახალხო კრების მოწვევის ინიციატივა ეკუთვნის ქ. ბელოსტოკის დროებით მმართველობას. რამდენიმე დღის წინათ მან დასავლეთ ბელორუსიის ქალაქების ყველა დროებით მმართველობას და მშრომელთა ყველა ორგანიზაციას მიმართა მოწოდებით, აირჩიონ ბელორუსიის სახალხო კრება დასავლეთ ბელორუსიის ოლქებში საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე არჩეულთაგან.

თავის მიმართვაში ქ. ბელოსტოკის დროებითმა მმართველობამ განაცხადა:

„დასავლეთ ბელორუსიის ხალხებისათვის დადგა დრო სთქვან თავიანთი სიტყვა ახალი სახელმწიფო წყობილების შექმნის შესახებ, ისეთი ხელისუფლების შექმნის შესახებ, რომელიც სავსებით ემსახურებოდა ხალხის ინტერესებსა და იქნებოდა ხალხის ხელისუფლება, მშრომელთა ხელისუფლება".

ქ. ბელოსტოკის დროებითი მმართველობის ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი მშრომელებმა დასავლეთ ბელორუსიის ყველა ქალაქსა და სოფელში. დასავლეთ ბელორუსიის ქალაქების დროებით მმართველობათა შორის წარმოებულ იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მუშების, ინტელიგენციის მრავალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, აგრეთვე გლეხთა კომიტეტები, საჭიროდ იქნა ცნობილი შეიქმნას კომიტეტი, რომლის ამოცანებსაც უნდა შეადგენდეს არჩევნების წესის განსაზღვრა, ბელორუსიის სახალხო კრების დეპუტატთა არჩევნების ორგანიზაცია და ჩატარება.

კომიტეტში შევიდნენ: ამხ. ვ. ბ. გაისინი — ბელოსტოკის ოლქის დროებითი მმართველობის თავმჯდომარე (კომიტეტის თავმჯდომარე), მ. ი. დიაჩუკი — ქ. ბელოსტოკის ეილელმანის ფაბრიკის მქსოველი ქალი (კომიტეტის მდივანი), მ. ი. მარკეევი — ქალაქ ბელოსტოკის დროებითი მმართველობის წარმომადგენელი, ა. გ. მაშევიცკი — ქალაქ ბელოსტოკის დროებითი მმართველობის წარმომადგენელი, პ. ს. სპასოვი — ქალაქ ბელოსტოკის დროებითი მმართველობის წარმომადგენელი, ი. ფ. შესტაკი—ნოვოგრუდის ოლქის სტოლბცის მაზრის სტოლბცის ვოლოსტის გლეხი, პ. ი. ერმაკოვიჩი — ბარანოვიჩის სადგურის რკინიგზის დეპოს მექვაბე, ზ. ვ. ნიკოლაევა — ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკის მასწავლებელი ქალი, ვ. მ. რადიშევსკი — ბელოსტოკის მაზრის ვასილკოვსკის ოლქის სოფელ ვოლკის გლეხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

კომიტეტში შევიდნენ აგრეთვე: ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები — ამხ. ნ. ი. ნატალევიჩი, ნ. გ. გრეკოვა და ლ. პ. პანკოვი, რომლებიც დელეგირებული არიან კომიტეტის თხოვნით.

კომიტეტმა სახალხო კრების არჩევნები დანიშნა 1939 წლის 22 ოქტომბერს, კვირას. კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა „დასავლეთ ბელორუსიის სახალხო კრების არჩევნების ორგანიზაციის წესი".

სახალხო კრების დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება და იმის უფლება, რომ არჩეულ იქნან სახალხო კრების დეპუტატად, აქვს ყველა მამაკაცს და ქალს, რომელთაც 18 წლის ასაკისათვის მიუღწევიათ, დამოუკიდებლად რასობრივი და ნაციონალური კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა, განათლების ცენზისა, ქონებრივი მდგომარეობისა, წარსული საქმიანობისა.

დეპუტატთა არჩევნები ხდება საარჩევნო ოლქების მიხედვით. საარჩევნო ოლქები სდგება შემდეგი პრინციპით: 5 ათასი მცხოვრები თვითეულ საარჩევნო ოლქზე. თვითეული საარჩევნო ოლქი სახალხო კრებაში ჰგზავნის ერთ დეპუტატს.

საარჩევნო ოლქებში უკვე გაჩაღდა წინასაარჩევნო საორგანიზაციო და სააგიტაციო მუშაობა.

მთელს დასავლეთ ბელორუსიაში დიდი აღფრთოვანებით ტარდება მშრომელთა მიტინგები და კრებები. დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები მიესალმებიან სახალხო კრების მომავალ მოწვევას.

დასავლეთი ბელორუსია. **სურათზე:** მდინარე ნემანი ქალაქ გროდნოს რაიონში.
ფოტო ბ. ფიშმანისა და დ. ჩერნოვისა (საკდესის ფოტოკლიშე).

არჩევნებისათვის მზადება ქალ. ლვოვში

ლვოვი (დასავლეთი უკრაინა), 11 ოქტომბერი (საკდესი). დასავლეთ უკრაინაში მიმდინარეობს აქტიური მზადება უკრაინის სახალხო კრების არჩევნებისათვის. ქალ. ლვოვის დროებითმა მმართველობამ უკვე შექმნა ქალაქში 63 საარჩევნო ოლქი. ეწყობა 181 საარჩევნო უბანი. ლვოვის მაზრაში 27 საარჩევნო ოლქი და 124 საარჩევნო უბანი იქნება.

უკრაინის სახალხო კრების საარჩევნო დებულება გამოცემულია ბროშურად და პლაკატად უკრაინულ და პოლონურ ენაზე 130 ათასი ცალის რაოდენობით. ქალაქში შექმნილია რამდენიმე სააგიტაციო პუნქტი. გუშინ შესდგა არჩევნებისადმი მიძღვნილი 9 მიტინგი. აგიტატორთა სემინარმა მუშაობა დაიწყო.

ჩრდილოეთში ინტერვენტების განადგურების 20 წლისთავი

პოლკოვნიკი მ. ანგარსკი

20 წლის წინათ, 1919 წლის შემოდგომაზე, სახელოვანმა წითელმა არმიამ ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სამუდამოდ განდევნა საბჭოთა რესპუბლიკის ჩრდილოეთიდან საერთაშორისო ყაჩაღი-ინტერვენტები, რომელნიც ცდილობდნენ ჩვენი სამშობლოს დამონებას.

ინტერვენტების მიერ ჩრდილოეთის მხარის ხელში ჩაგდება ნაწილი იყო იმპერიალისტური სახელმწიფოების ლაშქრობის საერთო გეგმისა — იმ ქვეყნის წინააღმდეგ, სადაც ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

ანტანტის ინტერვენციის ძირითადი მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების ჩახრჩობა და რუსეთში ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების აღდგენა. „ინგლისელებმა და ფრანგებმა ჯარები გადმოსხეს ჩრდილოეთ რუსეთში, დაიკავეს არხანგელსკი და მურმანსკი, იქ დაეხმარნენ თეთრგვარდიელთა ამბოხებას, დაამხეს საბჭოების ხელისუფლება და შექმნეს თეთრგვარდიული „მთავრობა ჩრდილოეთ რუსეთისა" (საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი, გვ. 275).

ინტერვენტების მიერ არხანგელსკისა და მურმანსკის ხელში ჩაგდებას აქტიურად უწყობდნენ ხელს გამცემლები: ესერი იურიევი—მურმანსკის საბჭოს თავმჯდომარე, გენერალი ზვეგინცევი, კაპიტანი ვესელაგო და სხვები, — რომლებიც მოქმედებდნენ საბჭოთა ხალხის დაუძინებელი მტრის ტროცკის მითითებით. 1918 წლის 2 მარტს მოღალატეებმა სიტყვიერი შეთანხმება დასდეს ანტანტის სამხედრო სარდლობასთან.

ამხანაგმა სტალინმა პირდაპირი ჰავთულით მოლაპარაკების დროს ლენინისა და თავისი სახელით გააფრთხილა მურმანსკის საბჭოს ხელმძღვანელნი იმ გზის სერიოზული საშიშროების წინააღმდეგ, რომელსაც ისინი დაადგნენ, და გააბათილა ტროცკის მიერ მიცემული დირექტივები.

ლენინი და სტალინი თავის დროზე აძლევდნენ მურმანსკის საბჭოს ხელმძღვანელებს არაერთ მითითებას დაუყოვნებლივ გაეწყვიტათ ინგლისელებთან და ფრანგებთან დადებული შეთანხმება, მაგრამ, მუხანათ ტროცკის მიერ წაქეზებული მოღალატენი თავიანთი მტრული საქმის კეთებას განაგრძობდნენ. მათი დახმარებით ინგლისელმა იმპერიალისტებმა ჯარების მნიშვნელოვანი რაზმები გადმოსხეს და ფაქტიურად მთელი მურმანსკის ოლქისა და თეთრი ზღვის სანაპიროს ბატონ-პატრონები გახდნენ.

არხანგელსკის დაკავების მეორე დღესვე ჩრდილოეთში „მოკავშირეთა" ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა პულმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობდა: „ყოველგვარ კრებებს, მიტინგებსა და სხვა თავყრილობებს როგორც ქუჩებში, ისე საზოგადოებრივ ადგილებში და კერძო ბინებზე — ვკრძალავ. ამ ბრძანების შეუსრულებლობა ან დარღვევა გამოიწვევს დამნაშავეთა მიცემას სამხედრო-საველე სამართალში" (პოტილიცინი, „თეთრი ტერორი ჩრდილოეთში 1918—1920 წლებში", გვ. 13).

ინგლისელი გენერლის სიტყვები მის საქმეებს არ დაშორებია. მალე ინგლისის კონტრდაზვერვის საკნები და კაზემატები გაჭედილი იყო ეგრეთწოდებული „არაკეთილსაიმედო ელემენტებით".

ინგლისელ იმპერიალისტთა მხეცობამ თავი იჩინა ყველა იმათ საშინელ წამებასა და მასობრივ ხვრეტაში, ვინც კლანჭებში უვარდებოდა კონტრდაზვერვას.

ინტერვენტები სძარცვავდნენ მოსახლეობას, ხელში იგდებდნენ და გაჰქონდათ ყოველივე ის, რაც ოდნავ ღირებულებას მაინც წარმოადგენდა. თეთრგვარდიელი გენერალი მარუშევსკიც კი, რომელსაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდა ინტერვენტებთან, როგორც ჩრდილოეთში თეთრგვარდიელთა არმიის სარდალს, იძულებული იყო განეცხადებინა, რომ „ინგლისის პოლიტიკა მხარეში იყო კოლონიური პოლიტიკა, ე. ი. ისეთი, რომელსაც ისინი ფერადკანიანი ხალხების მიმართ იყენებენო".

დაიკავეს რა მურმანსკი, არხანგელსკი და თეთრი ზღვის მთელი სანაპირო, ინტერვენტებმა თავი მოუყარეს ჩრდილოეთში 24 ათასამდე ჯარს, რომელიც სხვადასხვა ეროვნებათაგან შესდგებოდა. აქ იყვნენ: ინგლისელები, ამერიკელები, ფრანგები, იტალიელები და სხვ. სულ კი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩრდილოეთში მონაწილეობას იღებდა ცხრა იმპერიალისტური სახელმწიფო, რომლებმაც 1919 წლის გაზაფხულისათვის თავი მოუყარეს 45.000 ჯარს (ამ რიცხვში არ შედის თეთრგვარდიელთა ნაწილები, რომლებიც 1919 წლის დამლევისათვის 25 ათასამდე კაცს ითვლიდნენ).

საომარი მოქმედების დასაწყისისათვის (1918 წლის აგვისტო) წითელი არმიის ძალები მურმანსკის მხარეში და თეთრი ზღვის მთელ სანაპიროზე 4.000 კაცს არ აღემატებოდა. ამ მცირერიცხოვან რაზმებს დაეკისრათ პასუხსაგები და საპატიო ამოცანა — დაეცვათ პეტროგრადისაკენ და ჩვენი ქვეყნის ცენტრისაკენ მიმავალი გზები უცხოელი მტაცებლებისა და რუსი თეთრგვარდიელებისაგან.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებით წითელი არმიის ჯარები ჩრდილოეთში თანდათან იზრდებოდა და 1918 წლის 20 ოქტომბრისათვის ჩრდილოეთის ფრონტზე ჩვენ უკვე გვყავდა 10 ათასამდე მებრძოლი, გვქონდა 200 ტყვიამფრქვევი და 57 ქვემეხი. ერთ თვეზე ნაკლები ხნის განმავლობაში მებრძოლთა რაოდენობა თითქმის გაორკეცდა.

ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების გეგმები ამ ეტაპზე იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად შემოჭრილიყვნენ ქვეყნის შიგნით და ამით უზრუნველეყოთ ხელსაყრელი პირობები თეთრგვარდიელთა ადგილობრივი არმიის შედგენისათვის.

შემდეგში განზრახული ჰქონდათ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლით დაემყარებინათ ერთიანი ფრონტი ციმბირის კონტრრევოლუციასთან და განეხორციელებინათ საერთო შეტევა პეტროგრადსა და მოსკოვზე.

მაგრამ ინტერვენტების იმედები — სწრაფად გაედიდებინათ თავისი არმია კონტრრევოლუციური ელემენტების ხარჯზე — სრულებითაც არ აღმოჩნდა რეალური. ადგილობრივი თეთრგვარდიელებით ძლივს მოხერხდა სულ რაღაც ორი რაზმის შედგენა.

ინტერვენტები პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდნენ ჩრდილოეთ დვინის მიმართულებას, მათ მიზნად დაისახეს ქალაქ კოტლასის ხელში ჩაგდება, 1918 წლის 10 აგვისტოსათვის მათ მდინარის გემების გამოყენებით მიაღწიეს მდინარე ვაგის შესართავამდე. აქ მათი შეტევა შეაჩერა წითელგვარდიელთა პატარა რაზმმა უშიშარი კომუნისტის, არხანგელსკის საგუბერნიო აღმასკომის წევრის ამხ. ვინოგრადოვის სარდლობით.

ვ. ი. ლენინი ყურადღებით სწავლობდა ჩრდილოეთის ფრონტზე შექმნილ ვითარებას და მან უწინარეს ყოვლისა გენიალურად გამოიცნო მოწინააღმდეგის განზრახვა: მტერი მაშინ ცდილობდა კოტლასის გზით შეერთებოდა ჩრდილოეთის კონტრრევოლუციას. ამიტომ ლენინი ჯერ კიდევ 12 აგვისტოს დეპეშას გზავნის ვოლოგდაში და იძლევა წინადადებას — სასწრაფოდ „...დაუკავშირდით კოტლასს, დაუყოვნებლივ გაგზავნეთ იქ მფრინავი და მოაწყეთ კოტლასის დაცვა, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ" („პროლეტარსკაია რევოლუცია" №1 (60) 1927 წ., გვ. 58-59).

კოტლასზე შეტევასთან ერთად ინტერვენტები ცდილობდნენ ვოლოგდის მიმართულებითაც გაეკაფათ გზა. აქ მათ პირველ წინააღმდეგობას უწევდნენ წითელი არმიის ცალკეული, მეტად მცირერიცხოვანი რაზმები, რომლებიც შედიოდნენ „საფარის ჩრდილოეთ უბნის" შემადგენლობაში. ეს პატარ-პატარა რაზმები მთელი შემოდგომის მანძილზე აწარმოებდნენ განუწყვეტელ ბრძოლებს სადგურ ობოზერსკაიას რაიონში და სამხრეთისაკენ წაწევის საშუალებას არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს.

29 აგვისტოს ვ. ი. ლენინი სწერდა ფრონტის ჯარების სარდალს: „თქვენ ცოტას გვატყობინებთ ფაქტიურს. **ყოველი შემთხვევის დროს** გვიგზავნეთ ანგარიშები.

რამდენი საფორტიფიკაციო სამუშაო გაკეთდა?

რა ხაზზე?

რკინიგზის რა პუნქტებია **უზრუნველყოფილი** ამფეთქებლებით, რათა იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელები და ფრანგები დიდი ძალებით შემოგვიტევენ, ავაფეთქოთ და დავანგრიოთ **სერიოზულად ეს-და-ეს** (სახელდობრ რომელი, ანგარიში უნდა მოგვცეთ, და სახელდობრ სად) ხიდი, რკ. გზ. ვერსტი, ჭაობებში გასასვლელი და სხვ. და ა. შ.

საკმაოდ უზრუნველჰყავით თუ არა ვოლოგდა თეთრგვარდიელთა საშიშროებისაგან? შეუწყნარებელი იქნება, თუ ამ საქმეში სისუსტე ან დაუდევრობა გამოიჩინეთ.

სალამი!"

(ციტირებულია ვოროშილოვის წიგნიდან „სტალინი და წითელი არმია", გვ. 167).

ვ. ი. ლენინის მითითებანი ზუსტად შესრულდა. დროის მოგებამ შესაძლებლობა მისცა წითელი არმიის სარდლობას გაემაგრებინა ფრონტი ახალი მაშველი ძალებით და თავიდან აეცილებინა საფრთხე როგორც ვოლოგდისათვის, ისე კოტლასისათვის.

ამის შედეგად, შემოდგომის კამპანია, რომელიც დაიწყეს ინტერვენტებმა და თეთრგვარდიელებმა, რათა ჩრდილოეთის არმია გაეერთიანებინათ კოლჩაკელებთან მოსკოვზე საერთო გალაშქრებისათვის, მთლიანად და სავსებით ჩაიშალა.

შექმნილ ვითარებაში გაძლიერდა „მოკავშირეთა" ჯარების მისწრაფება შინისაკენ. პირველად ბრძოლის უნარის დაკარგვა იწყეს ამერიკელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც გადაჭრით უარს ამბობდნენ წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების მთელ რიგ სამხედრო ნაწილებში სერიოზული აჯანყებები მოხდა.

ფრონტზე მყოფ ჯარებში დაწყებულ მღელვარებასთან ერთად, ინტერვენტების ზურგში ფართოდ გაიშალა პარტიზანული მოძრაობა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ წითელი არმიის პოლიტგანყოფილებები და კომუნისტური პარტიის არალეგალური ორგანიზაციები.

ბოლშევიკების ლოზუნგები აერთიანებდნენ მასებს და ფეხზე აყენებდნენ მათ ინტერვენციის წინააღმდეგ საბრძოლველად, გახრწნა შეჰქონდათ თეთრგვარდიელთა არმიის რიგებში.

ამავე დროს პარტიისა და მთავრობის დაუღალავი მზრუნველობის მეოხებით ჩრდილოეთის ფრონტის ჯარები განუწყვეტლივ ღებულობდნენ შევსებას და დღითი-დღე უფრო და უფრო მედგარი და ბრძოლისუნარიანი ხდებოდნენ.

1918 წლის შემოდგომაზე მაშველი ძალების მისვლამ, განსაკუთრებით მოსკოვიდან და პეტროგრადიდან, საშუალება მისცა ფრონტის სარდლობას ჩაეტარებინა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომლებმაც თვალსაჩინოდ გააუმჯობესა ჯარების მართვა. ცალკეული რაზმებისა და დაქსაქსული პატარა-პატარა დანაყოფებისაგან საბრძოლო ორგანიზმები შეიქმნა. ფრონტის არხანგელსკის უბანზე შედგენილ იქნა მე-6 წითელი არმია, რომელიც იცავდა კოტლასისა და ვოლოგდის მისადგომებს. მურმანსკის მიმართულებას მე-7 არმიის ნაწილები იცავდნენ. ყველა ამ ღონისძიებამ უზრუნველჰყო წითელი არმიის გადასვლა გადამწყვეტ კონტრშეტევაზე.

1919 წლის იანვარში, ჩრდილოეთის სუსხიანი ზამთრის პირობებში, მე-6 არმიამ ბრწყინვალედ ჩაატარა შენკურსკის ოპერაცია და სასტიკად დაამარცხა ინგლისელ-ამერიკელი ჯარები. ამ ოპერაციის შედეგად მტერი უკუგდებულ იქნა 90 კილომეტრის მანძილზე ფრონტის წინანდელი ხაზის ჩრდილოეთით.

ჩვენი ჯარების მიერ შენკურსკის განთავისუფლებას უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. შენკურსკთან ინტერვენტთა ჯარების დამარცხებამ საბოლოოდ ჩაშალა ანტანტის გეგმები ჩრდილოეთის კონტრრევოლუციის შეერთებისა კოლჩაკელებთან. მეტიც, არხანგელსკზე ჩვენმა შეტევამ არსებითად შეუწყო ხელი აღმოსავლეთის ფრონტის მემარცხენე ფლანგის არმიებს, რომლებიც, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ამ დროს კოლჩაკის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლისათვის ემზადებოდნენ. საომარი მოქმედების ინიციატივა საბოლოოდ გადავიდა წითელი არმიის ხელში.

ზაფხულის განმავლობაში ინტერვენტებს უკვე არცერთი აქტიური ოპერაციის დაწყება არ შეეძლოთ. ვითარება კიდევ იმით რთულდებოდა, რომ ამ დროს ანტანტის ქვეყნებში ხალხის მასებმა სულ უფრო-დაუფრო გაბედულად დაიწყის გამოსვლა პროტესტით ინტერვენციის წინააღმდეგ, რომელიც კვლავ გრძელდებოდა. ისინი მოითხოვდნენ თავიანთი მთავრობისაგან დაუყოვნებლივ შეეწყვიტათ შეიარაღებული ბრძოლა საბჭოთა რესპუბლიკასთან და გაეწვიათ ანტანტის სამხედრო რაზმები რუსეთის ყველა განაპირა მხარიდან.

ინგლისის მთავრობა იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება მთელი ჩრდილოეთის ოლქის ტერიტორიიდან თავისი შეიარაღებული ძალების ევაკუაციის შესახებ. 1919 წლის 27 სექტემბერს ინგლისის რაზმებმა სასწრაფოდ დასტოვეს არხანგელსკი, 12 ოქტომბერს კი უკანასკნელი ტრანსპორტები გავიდა მურმანსკიდანაც. რუსთა კონტრრევოლუციურ რაზმებს წინადადება მიეცა მოეხდინათ ევაკუაცია და გადასულიყვნენ სამოქალაქო ომის სხვა ფრონტებზე.

თეთრგვარდიულმა მთავრობამ, რომელსაც გენერალი მილერი მეთაურობდა, მას შემდეგ, რაც დიდხანს უშედეგოდ ეცადა დაეთანხმებინა ინგლისელები ხელი აეღოთ ევაკუაციაზე, გადასწყვიტა საკუთარი საშუალებებით განეგრძო წითელ არმიასთან ბრძოლა. მაგრამ უკვე სავსებით ცხადი იყო, რომ ინტერვენტების წასვლის შემდეგ თეთრგვარდიელთა საბოლოო განადგურება ჩრდილოეთში მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა.

სწორედ ამ მომენტში ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე დაიწყო იუდენიჩის მეორე შეტევა პეტროგრადზე. მაგრამ ინტერვენტების ჯარები აღმოჩნდნენ სრულიად უუნარონი—დახმარებოდნენ იუდენიჩს, თუმცა ეს შეტევა ნაკარნახევი იყო თვით ინგლისელი იმპერიალისტების ინტერესებით. იუდენიჩთან შეთანხმებული მოქმედების ნაცვლად ინტერვენტების ჯარები საჩქაროდ გაიქცნენ.

წითელი არმიისა და მშრომელი მასების გმირულ ღონისძიებათა შედეგად ინტერვენტები საბოლოოდ განდევნილ იქნენ საბჭოთა რუსეთის ჩრდილოეთი მხარიდან.

ჩვენ მიერ მოპოვებული გამარჯვების უდიდესი მნიშვნელობა, ვ. ი. ლენინმა შემდეგნაირად დაახასიათა: „ჩრდილოეთის ფრონტზე, სადაც მურმანსკზე შეტევა განსაკუთრებით დიდ სარგებლობას უქადდა მტერს, სადაც ინგლისელების მიერ უკვე დიდიხნის წინათ შეკრებილი იყვნენ უდიდესი და საუცხოოდ შეიარაღებული ძალები, სადაც ჩვენ, სურსათ-სანოვაგისა და მოწყობილობის უქონლობის გამო, წარმოუდგენელ სიძნელეებში გვიხდებოდა ბრძოლა, —თითქოს ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტებს ბრწყინვალე პერსპექტივები უნდა ჰქონოდათ. და სწორედ იქ აღმოჩნდა, რომ მტრის მთელი შეტევა საბოლოოდ ჩაიფუშა. ინგლისელები იძულებული გახდნენ უკან წაეყვანათ თავიანთი ჯარები, და ახლა ჩვენ ვხედავთ იმის სრულ დადასტურებას, რომ ინგლისელ მუშებს რუსეთთან ომი არ სურთ და რომ ახლაც კი, როდესაც ინგლისში ჯერ კიდევ არ არის რევოლუციური ბრძოლა, მათ შესწევთ უნარი ისეთი გავლენა მოახდინონ თავიანთ მთავრობაზე—მტაცებელთა და მძარცველთა მთავრობაზე, რომ აიძულებენ მას წაიყვანოს თავისი ჯარები რუსეთიდან. ინტერვენტები იძულებული გახდნენ დაეთმოთ ეს ფრონტი, რომელიც განსაკუთრებით საშიში იყო, იმიტომ რომ მტერი იქ განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდა, რადგან საზღვაო გზა ჰქონდა" (ლენინი, ტ. XXIV, გვ. 495).

ოცმა წელმა განვლო ჩრდილოეთში ინტერვენტების განადგურების დროიდან. სტალინური ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა ჩრდილოეთი ბოლშევიკების ღონისძიებებით გადაიქცა მიტოვებული და მიყრუებული განაპირა მხარიდან აყვავებულ ინდუსტრიულ მხარედ.

საბჭოთა ქვეყნის ჩრდილოეთ მიჯნებს იცავს სახელოვანი წითელი არმია და მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ეს მრისხანე ძალა მზად არის ყოველ წუთში ეკვეთოს იმათ, ვინც კი გაბედავს ჩვენი მშვიდობიანი შრომის დარღვევას.

სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილენი მოსკოვს ჩავიდნენ

მოსკოვი, 11 ოქტომბერი (საკდესი). დიდი მოუთმენლობით მოელის დედაქალაქის საზოგადოებრიობა, თუ როდის დაიწყება სომხური ხელოვნების დეკადა, რომლის მონაწილენი დღეს ჩამოვიდნენ მოსკოვს.

კურსკის ვაგზლის ბაქანი სადღესასწაულოდ არის მორთული. ყველგან მოჩანს ბაირაღები და მისასალმებელი ლოზუნგები სომხურ ენაზე. მატარებლის ჩამოდგომის დროს სტუმრების შესახვედრად აქ შეიკრიბნენ: სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები, მოსკოვის თეატრების მრავალრიცხოვანი დელეგაციები, კომპოზიტორები, მხატვრები, მოქანდაკენი, გაზეთების კორესპონდენტები. დამხვედრთა შორის არიან: ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკო, ა. ვ. სოლოდოვნიკოვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ვ. ბარსოვა, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტები რ. ნ. სიმონოვი და ნ. კ. ოზეროვი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. მ. გერასიმოვი, კომპოზიტორი ვანო მურადელი და სხვ.

მატარებელი ბაქანს უახლოვდება. შორიდან ორთქლმავალზე მოჩანს წარწერა:

„გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს დიდ სტალინს"!

გულითადად ეგებებიან მოსკოველები სომეხი ხალხის ხელოვნების წარმომადგენლებს. სტუმრებს ყვავილებით თაიგულებს სთავაზობენ.

მეგობრულად ართმევენ ხელს ერთი-მეორეს, მხურვალედ მიესალმებიან სომეხი ხალხის ხელოვნების ოსტატებს.

კურსკის ვაგზლის მოედანზე სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სახელით სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილეთ მხურვალედ მიესალმა ამხ. მ. ბ. ხრაპჩენკო.

— ძვირფასო ამხანაგებო — სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილენო! — ამბობს ამხ. ხრაპჩენკო. — ქალ. მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა სახელით, ხელოვნების საქმეთა კომიტეტის სახელით გადმოგცემთ მხურვალე ძმურ სალამს. მოსკოვს თქვენ ჩამოდით, რათა საბჭოთა მთავრობას, წითელი დედაქალაქის მშრომელებს, მთელ ჩვენს დიად სამშობლოს უჩვენოთ თქვენი წარმატებანი თავისუფალი სომეხი ხალხის ხელოვნების დარგში.

ჩვენ ვიცით, რომ ეს წარმატებანი უდიდესია, ჩვენ ვიცით, რომ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების წყალობით საბჭოთა სომხეთის კულტურა და ხელოვნება უდიდეს სიმაღლეზე ავიდა.

სომეხ ხალხს, მის კულტურას მრავალსაუკუნოვანი, ათასწლოვანი ისტორია აქვს. მრავალი საუკუნის მანძილზე ნიჭიერი სომეხი ხალხი არაერთხელ გამხდარა მტაცებლურ თავდასხმათა და დაპყრობათა ობიექტი, რის შედეგადაც ხალხის მიერ შექმნილი კულტურა უმოწყალოდ ნადგურდებოდა. სომეხი ხალხი დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ნაციონალური ჩაგვრის ბორკილებში, რაც ახშობდა მის უდიდეს ძალებს. სომეხი ხალხის ხელოვნება და კულტურა გათელილი იყო მეფის თვითმპყრობელობის ბინძური ჩექმით.

საბჭოთა ხელისუფლებამ, ლენინ-სტალინის პარტიამ გაანთავისუფლა სომეხი ხალხი ეროვნული ჩაგვრისაგან, მიანიჭა მას მშვიდობიანობა და თავისუფალი შრომა. უზრუნველჰყო მისთვის შემოქმედებითი მუშაობის უფართოესი შესაძლებლობანი ცხოვრების ყველა დარგში. განთავისუფლებულმა ხალხმა მრავალი ტალანტი წარმოშვა თავის წიაღიდან. სომეხმა ხალხმა საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან მჭიდრო თანამეგობრობით შექმნა საუცხოო — ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური ხელოვნება.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ გვახარებს თქვენი ჩამოსვლა, ვინაიდან ვიცით, რომ თქვენი ხელოვნება გაახარებს დედაქალაქის მშრომელებს. არარატის მწვერვალებიდან, სევანის ფართო სივრცეებიდან თქვენ მოიტანეთ ხელოვნება, რომელიც გაჟღენთილია შესანიშნავი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ცეცხლით, რომელიც გაჟღენთილია მისი თავისუფალი ცხოვრების სიხარულითა და ბედნიერებით.

ჩვენ ბევრ რამეს მოველით თქვენგან, მოველით დიდ, ამაღლებულ ხელოვნებას.

მხურვალედ მოგესალმებით და გისურვებთ ბრწყინვალე წარმატებასა და შემოქმედებით გამარჯვებას!

მიტინგი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეეგება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად წარმოთქმულ დღეგრძელობის სიტყვებს.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა მსახიობმა-ქალმა ა. დანიელიანმა.

— ჰყვავის არარატის აყვავებული, მზიური ველებიდან, — სთქვა ამხ. დანიელიანმა,—აღორძინებული ბედნიერი სომეხი ხალხი მგზნებარე ძმურ სალამს მიუძღვნის ჩვენი სამშობლოს ძვირფას წითელ დედაქალაქს.

აღორძინება, ბედნიერება, მშვიდობიანი შრომა და კულტურისა და ხელოვნების აყვავება სომეხ ხალხს მიანიჭა ბოლშევიკურმა პარტიამ, დიდმა სტალინმა. მას, მამასა და საყვარელ მეგობარს ყველა ხალხისას, რომელიც მოსახლეობს დიად კავშირში — თერთმეტი მოძმე რესპუბლიკის ერთსულოვან ოჯახში, მას, ვისმა გენიალურმა სიბრძნემაც ყველა მშრომელს შეუქმნა მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრება, მივაპყრობთ ჩვენი განუზომელი სიყვარულითა და მადლობით აღსავსე გულსა და თვალს.

მას, ვინც გვასწავლის ახლებურად აზროვნებას, ახლებურად, საუცხოოდ ცხოვრებას, მას, ვინც ზღაპარი სინამდვილედ აქცია, მივაპყრობთ სიყვარულითა და ბედნიერებით აღსავსე ჩვენს გულს! ეს არის ჩვენი დიდი **სტალინი!**

ამ დღეებში, როდესაც ძლევამოსილ განმათავისუფლებელ წითელ არმიას სიხარული და განთავისუფლება მიაქვს ჩვენი ძმებისათვის — დასავლეთის ბელორუსებისა და დასავლეთის უკრაინელებისათვის, ამ სადღესასწაულო დღეებში ჩვენი დეკადა ჟღერდება, როგორც სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობის სიმფონია.

ხალხთა ხელოვნების დეკადები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში შესანიშნავ ტრადიციად იქცნენ, აღორძინებულ ხალხთა კულტურისა და აყვავების დემონსტრაციას წარმოადგენენ.

სომხური ხელოვნების დეკადა ჩვენი სახელოვანი პარტიის ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების მაჩვენებელია.

დიდი ოქტომბრის მიერ განთავისუფლებულმა და აღორძინებულმა სომეხმა ხალხმა გამოგზავნა თავიანთი შვილები საბჭოთა კავშირის დედაქალაქში — წითელ მოსკოვში შემოქმედებითი პატაკის წარსადგენად.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენ, სომხეთის ხელოვნების მუშაკები, ჩამოვედით, რათა გიჩვენოთ არა მარტო მიღწევები სომეხი ხალხის ხელოვნებისა, არამედ აგრეთვე გადმოგცეთ ჩვენი სიყვარული, სიყვარული დიადი რუსი ხალხისადმი, ჩვენი სიყვარული და ერთგულება საბჭოთა მთავრობისა და ლენინ-სტალინის დიადი პარტიისადმი, ჩვენი უსაზღვრო სიყვარული, ერთგულება და მგზნებარე სალამი დიდი **სტალინისადმი!**

ამხ. დანიელიანის დასკვნით სიტყვებს შეხვდნენ მქუხარე ტაშითა და მისალმებათა შეძახილებით ხალხთა დიდი ბელადის, საბჭოთა კავშირის მშრომელთა მრავალერიანი ოჯახის მამისა და მეგობრის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ავტომანქანებზე შეუფერებელი ზომის რეზინის გამოყენების აკრძალვის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს ფართოდ გავრცელდა მსუბუქ ავტომანქანებზე ისეთი რეზინის გამოყენების პრაქტიკა, რომელიც დანიშნულია საბარგო ავტომობილებისათვის, რაც იწვევს ავტომანქანის ნაადრევად გაცვეთას და საწვავი მასალის საგრძნობლად გადახარჯვას, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აეკრძალოს ყველა დაწესებულებასა და ორგანიზაციას საბარგო ავტომობილებისათვის დანიშნული ავტოსაფარის გამოყენება მსუბუქ ავტომობილებზე, აგრეთვე „მ-1" ავტომობილებზე იმ რეზინის გამოყენება, რომელიც დანიშნულია მსუბუქ ავტომობილ „გაზ"-ისათვის.

2. გაფრთხილება მიეცეს ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, რომ ავტომანქანებზე შეუფერებელი ზომის რეზინის გამოყენებისათვის ისინი მკაცრად იქნებიან დასჯილნი.

3. ამ დადგენილების შესრულებისათვის თვალყურის დევნება დაეკისროს საქართველოს სსრ შინსახკომის მუშურ-გლეხური მილიციის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. ბაქრაძე

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი

ი. რუხაძე

1939 წ. 10 ოქტომბერი.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

12 ოქტომბერს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას ეწვივნენ გერმანიის მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ეკონომიურ საკითხებში ბ-ნ რიტერი და გერმანიის ეკონომიური დელეგაცია ბ-ნ შნურეს მეთაურობით.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დათვალიერების შემდეგ სტუმრები მიიღო გამოფენის დირექტორმა: აკადემიკოსმა ნ. ვ. ციცინმა.

12 ოქტომბერს გამოფენა ინახულეს მოსკოვის 90.000-ზე მეტმა მშრომელმა, წითელი არმიის მებრძოლებმა და მეთაურებმა, მოსწავლეებმა და კოლმეურნეებმა, რომელნიც ჩამოსული არიან ჩვენი ქვეყნის 20 მხარიდან და ოლქიდან.

გამოფენა დაათვალიერა სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილეთა დიდმა ჯგუფმა, რომელიც მოსკოვს წინა დღით ჩამოვიდა. (საკდესი).

საქართველოს პავილიონში

მოსკოვი, 13 ოქტომბერი (**ბილდაპარატით ჩვენი საკ. კორ.**). სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე გრძელდება რსფსრ ცენტრალური ოლქების, უკრაინისა და ბელორუსიის კოლმეურნეთა ექსკურსიების მოსვლა. 11 ოქტომბერს საქართველოს პავილიონი დაათვალიერა 43 ექსკურსიამ. საუცხოო პავილიონი, რომელიც კვლავ იქცევს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ყველა მნახველის განსაკუთრებულ ყურადღებას, ამ დღეს დაათვალიერეს კოლმეურნეებმა მოსკოვის, ლენინგრადის, კურსკის, ტამბოვის, ტულის, კუიბიშევის, ვორონეჟის, როსტოვის, ორიოლის ოლქებიდან. პავილიონს ესტუმრნენ სმოლენსკის ოლქის და ყირიმის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეები.

11 ოქტომბერს შთაბეჭდილებათა წიგნი შეივსო ახალი აღფრთოვანებული ჩანაწერებით.

პავილიონში გრძელდება მზადება ზამთრისათვის. გამოფენა დაიხურება 25 ოქტომბერს. ამის შემდეგ სურათებს, ფოტოებს, მაკეტებს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საზამთრო სადგომებში მოათავსებენ. დარბაზებში მოიხსნება პანოები. სტენდებს გადააფარება ჭილობი. ჩამოიხსნება კოლხიდის დიორამა. დამაფიქრებელია ორანჟერეების მდგომარეობა. საქვაბე ჯერ მზად არ არის. ორანჟერეებს ათბობენ მხოლოდ ელექტროღუმელებით. გუშინ ორანჟერეებში ტემპერატურა მინუს 3 გრადუსი იყო.

○

მოსკოვი, 13 ოქტომბერი, (ტელეგრაფით ჩვენი საკ. კორ.). გუშინ საქართველოს პავილიონი ინახულა 80 ათასმა კაცმა. დილის 11 საათიდან გაიმართა დიდი რიგი. მნახველთა შორის იყვნენ სომხური ხელოვნების დეკადის მონაწილენი. გამოფენა დაათვალიერა მოსკოვის, სარატოვის, ლენინგრადის, ტამბოვის, ტულის, იაროსლავლის ოლქების კოლმეურნეთა და პოვოლჟიეს გერმანელ კოლმეურნეთა, აგრეთვე წითელარმიელთა 31 ექსკურსიამ. გამოფენა ინახულა აგრეთვე ესპანეთის რესპუბლიკელ მებრძოლთა ჯგუფმა.

გაიხსნა რაიონული გაზეთების რედაქტორთა სრულიად-საკავშირო თათბირი

11 ოქტომბერს ჟურნალისტის მოსკოვის სახლში გაიხსნა რაიონული გაზეთების რედაქტორთა პირველი სრულიად-საკავშირო თათბირი, რომელიც მოწვეულია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ. თათბირს 300-ზე მეტი კაცი ესწრება.

თათბირი გახსნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ტ. ი. ანტროპოვმა.

თათბირის დღის წესრიგში ორი საკითხია: 1) გაზეთების მუშაობის გარდაქმნა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობისა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის თვალსაზრისით — რაიონული გაზეთების — „ტრაქტორისა" (ლენინგრადის ოლქის დემიანსკის რაიონი), „სტახანოველისა" (კიევის ოლქის ბროვარის რაიონი), „უდარნიკისა" (მოსკოვის ოლქის დმიტროვის რაიონი), „კოლხოზნოე ზნამიას" (კრასნოდარის მხარის ტიმოშევსკის რაიონი) და „კოლხოზნაია გაზეტასი" (კალინინის ოლქის კალინინის რაიონი); 2) რაიონული პრესის ამოცანები მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

11 ოქტომბერს თათბირმა მოისმინა მოხსენებანი გაზეთ „ტრაქტორის" რედაქტორის ამხ. ჩერნიაკოვისა და გაზეთ „სტახანოველის" რედაქტორის მოადგილის ამხ. პოგრებინსკისა. (საკდესი).

ახალი თავდაცვითი საჩუქრებით შევხვდეთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის XXII წლისთავს

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის კოლექტივის მიმართვა საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მშრომელთა მრავალმილიონიანი მასები ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნულ მითითებათა და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში უფრო-და-უფრო ფართოდ აჩაღებენ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურ შეჯიბრებას და ამ შეჯიბრებაში აღწევენ ახალ-ახალ გამარჯვებებს სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

შრომითი ენტუზიაზმის ახალი აღმავლობით შეხვდა საბჭოთა ხალხი საბჭოთა კავშირის მთავრობის ბრძნულ სტალინურ გადაწყვეტილებას დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მოძმე ხალხებისათვის დახმარების შესახებ.

ჩვენმა გმირულმა წითელმა არმიამ ღირსეულად შეასრულა პარტიისა და მთავრობის საბრძოლო დავალება, პანების უღლისაგან გაანთავისუფლა დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები და გაუხსნა მათ გზა საამური და ბედნიერი ცხოვრებისაკენ. მამაცი წითელი არმიის გმირობამ და თავდადებამ, არმიის რომელმაც ღირსეულად და სასახელოდ შეასრულა თავისი დიადი ისტორიული ამოცანა, მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი პროგრესიული კაცობრიობის აღტაცება გამოიწვია.

წითელი არმიის რეზერვები დაუშრეტელია. მთელი დიადი საბჭოთა ხალხი, სამშობლოსადმი, ბოლშევიკური პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი** სიყვარულისა და ერთგულების მხურვალე გრძნობით აღსავსე, უდიდესი ენტუზიაზმით ეუფლება სამხედრო ტექნიკას და განამტკიცებს ქვეყნის თავდაცვაუნარიანობას.

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამიათასიანმა კოლექტივმა თავდაცვის მუშაობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: მოამზადა პირველი საფეხურის 408 და მეორე საფეხურის 68 ვოროშილოვისეური მსროლელი, 17 სნაიპერი, 28 შოფერი, სქთ პირველი საფეხურის 2300 და მეორე საფეხურის 135 ნიშნოსანი, მცირეყალიბიანი შაშხანის 8 ოსტატი, 26 ვოროშილოვისეური მხედარი, 5 პილოტი, 20 პარაშუტისტი და სხვ. ინსტიტუტში მომზადებულია მთელი რიგი სტუდენტები, რომლებმაც ჩააბარეს 5-8 სახის თავდაცვითი ნორმები; ასეთებია, მაგალითად, ო. კაციტაძე, გამცემლიძე, გ. ივანოვა, გ. კაიაკი და სხვ.

ჩვენი ინსტიტუტის თვითეული სტუდენტი, თვითეული პროფესორი და მასწავლებელი გამსჭვალულია ერთი აზრით—კიდევ უფრო მეტი კეთილსინდისიერებით, პატიოსნად და საქმისადმი სრული ერთგულებით იმუშაოს თავის პოსტზე და ამით განამტკიცოს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვაუნარიანობა.

ჩვენ მივმართავთ მოწოდებით საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, პროფესორებსა და მასწავლებლებს — დაიწყონ მზადება მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახელოვანი XXII წლისთავისათვის და აღნიშნონ იგი სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის ახალი წარმატებებით, რომლებიც შესაფერი იქნება ჩვენი გმირული წითელი არმიისა, **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისა.

ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას თავდაცვა-ავიაქიმის რიგებში ჩავაბათ ინსტიტუტის მთელი კოლექტივი, უზრუნველვყოთ ინსტიტუტის მთელი კოლექტივის მომზადება სქთ პირველი საფეხურის ნიშანზე ნორმების ჩაბარებისათვის, აგრეთვე მოვამზადოთ სქთ მეორე საფეხურის 50 ნიშნოსანი, პირველი საფეხურის 130 და მეორე საფეხურის 25 ვოროშილოვისეური მსროლელი, 5 სნაიპერი, 20 ვოროშილოვისეური ტყვიამფრქვეველი, 10 პარაშუტისტი, 25 შოფერი, გავგზავნოთ საფრენოსნო სკოლაში 10 კაცი.

ჩვენ ვიბრძოლებთ პირველობის მისაღწევად სრულიად-საკავშირო და რესპუბლიკურ ქიმიურ შეჯიბრებაში და ჩავატარებთ სამხედრო-ტაქტიკურ სწავლებას.

ჩვენ აგრეთვე ვიღებთ ვალდებულებას ჩავატაროთ ლექციები სამხედრო-თავდაცვით საკითხებზე, ფაკულტეტებს შორის გავშალოთ შეჯიბრება სამხედრო-თავდაცვითი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის, ხელჩართულ ბრძოლაში პირველობისათვის.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ყველა სტუდენტი, პროფესორი და მასწავლებელი აიღებს კონკრეტულ ვალდებულებებს და ყოველდღიურად იბრძოლებს მათი წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს დიდი **სტალინის** მითითებანი ჩვენი წითელი არმიის განმტკიცების შესახებ, იმის შესახებ, რომ საჭიროა ჩვენი ხალხი ვიყოლიოთ მობილიზაციური მზადყოფნის მდგომარეობაში. ვაჩაღებთ რა სოციალისტურ შეჯიბრებას თავდაცვითი მუშაობის უკეთ დაყენებისათვის, ჩვენ უფრო მჭიდროდ დავირაზმებით **ლენინ-სტალინის** პარტიის გარშემო, საბჭოთა მთავრობისა და ჩვენი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, მშობლიური, საყვარელი **სტალინის** გარშემო.

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის კოლექტივის დავალებით: ინსტიტუტის დირექტორი ა. ბოჯგუა, პარტბიუროს მდივანი ქ. ძველაია, ალკკ კომიტეტის მდივანი ქ. ურუაშვილი, თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს მდივანი დ. ცხოიძე, პროფესორები წულუკიძე, მუხაძე, კაკაბაძე, ფრიადოსანი სტუდენტები გ. ზედგინიძე, ი. მალანია, ი. ფაჩულია, ი. პაიჭაძე, ი. ამაღლობელი, ე. კოვალიოვა, ო. კაციტაძე, ნ. ჭიჭალუა, გ. ივანოვა.

ქ. მინსკის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

მინსკი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ბელორუსიის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომის დიდ დარბაზში შესდგა ქ. მინსკის პარტიული აქტივის კრება. აქტივის კრებაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ბელორუსიის ქალაქებისა და რაიონების პარტიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. კრებას დაესწრო 1.800 კაცი.

აქტივის კრებამ საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით აირჩია პოლიტბიუროს წევრთა შემადგენლობა ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

კრების მონაწილეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს ბელორუსიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. პონომარენკოს შინაარსიანი, მჭერმეტყველური ფაქტებით აღსავსე მოხსენება დასავლეთი ბელორუსიის შესახებ.

მომხსენებელმა მოიყვანა მრავალი კონკრეტული ცნობა დასავლეთ ბელორუსიის ეკონომიური ვითარებისა და იმ განსაკუთრებით მძიმე, უუფლებო მდგომარეობის შესახებ, რომელშიც იმყოფებოდნენ დასავლეთ ბელორუსიის მშრომელნი პოლონეთის ყოფილ სახელმწიფოში. ამხ. პონომარენკომ მთელი რიგი მაგალითებით ცხადჰყო დასავლეთ ბელორუსიის მოსახლეობის განსაკუთრებული სიყვარული საბჭოთა კავშირისადმი, ჩვენი მამაცი წითელი არმიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, ამხანაგ სტალინისადმი. ამხ. პონომარენკომ თათბირს გააცნო ის დიდი მუშაობა, რომელსაც ეწევიან მშრომელთა ორგანიზაციები და დროებითი მმართველობა დასავლეთ ბელორუსიაში სახალხო კრების არჩევნების მოსამზადებლად.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ კულტურულ და სამეურნეო დახმარებაზე, რომელსაც ბელორუსიის სს რესპუბლიკის ხალხები უწევენ თავიანთ ძმებს — დასავლეთ ბელორუსიის ხალხებს.

დასასრულ ამხ. პონომარენკომ მოუწოდა მინსკის პარტიულ აქტივს გააუმჯობესოს მუშაობა სოციალიზმის მშენებლობის ყველა უბანზე, გაშალოს ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის XXII წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება და ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს დიად დღესასწაულს.

აქტივის კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დასახულია პარტიული ორგანიზაციის უახლოესი ამოცანები.

ბ. ლელინი

საკ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო - საინსტრუქტორო განყოფილების გამგე.

გავაუმჯობესოთ საამქროების პარტორგანიზაციათა მუშაობა

საკ. კ. პ. (ბ) წესდებამ, რომელიც XVIII პარტყრილობამ მიიღო, დიდად აამაღლა პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი. კერძოდ, წესდებამ უფლება მიანიჭა საამქრო პარტორგანიზაციებს, სადაც პარტიის არანაკლებ 15 წევრია, აირჩიონ ბიუროები. ამხ. ჟდანოვმა ყრილობაზე თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ამ ღონისძიებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს „პარტიის წევრთა კოლექტიური ხელმძღვანელობის სულისკვეთებით სწრაფი გამოზრდის მიზნით" (საკ. კ. პ. (ბ) წესდება).

პარტიული წესდების შესაბამისად დაახლოებით 3 თვის წინათ თბილისის 28 პარტიულ ორგანიზაციაში ჩატარდა საამქრო პარტორგანიზაციათა ბიუროებისა და მათი მდივნების არჩევნები. ბიუროს შემადგენლობაში არჩეულ იქნენ საუკეთესო სტახანოველები, შემოწმებული ბოლშევიკები — სულ 550 ამხანაგი.

3 თვის განმავლობაში საამქრო პარტორგანიზაციათა ბიუროებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს. მათ საამქროებში გამოაცოცხლეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ისინი XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე წარმატებით ანხორციელებენ კონტროლს სამეურნეო საქმისადმი. გაძლიერდა კომუნისტების ავანგარდული როლი წარმოებაში, გაიზარდა მათი გავლენა მასებში. თბილისის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში კომუნისტების პირადი მაგალითის ჩვენებით საფუძვლიანი გარდატეხა მოხდა საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებაში, შრომის ნაყოფიერების თვალსაჩინოდ ამაღლებაში.

რით დაიწყეს საამქრო პარტორგანიზაციათა ბიუროებმა თავისი მუშაობა? ამის ნათელსაყოფად ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე ორგანიზაციის მუშაობის მაგალითი.

აი მაგალითად თბილისის მე-2 სამკერვალო ფაბრიკის პირველი საამქროს პარტორგანიზაციის ბიურო (მდივანი ამხ. ა. კაშატაშვილი). საამქროში ირიცხება 219 მუშა-მოსამსახურე, მათ შორის 16 საკ. კ. პ. (ბ) წევრი, 32 საკ. კ. პ.(ბ) წევრობის კანდიდატი და 5 კომკავშირელი. ბიურომ თავისი სხდომა ჩაატარა სულ ოთხჯერ, ხოლო პარტორგანიზაციის კრება ექვსჯერ. კრებაზე განიხილა პარტიული და საწარმოო ხასიათის საკითხები.

საამქრომ ნახევარი წლის დავალება 85,1 პროცენტით შეასრულა. პარტორგანიზაციის ბიურო სერიოზულად ჩააფიქრა ამ საკითხმა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შეესწავლა ჩამორჩენის მიზეზები. ამ მიზნით მოისმინა საამქროს უფროსის ამხ. მელიქსეთოვის მოხსენება გეგმების შესრულების გარშემო. მოხსენების გამო კამათში კომუნისტები აქტიურად გამოვიდნენ, წამოაყენეს პრაქტიკული წინადადებანი შრომის დისციპლინის განმტკიცების, სტახანოვური მოძრაობის უკეთ გაშლისა და გეგმისათვის ბრძოლაში ჩამორჩენილი ამხანაგებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

ბიურომ კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებას მტკიცედ მოჰკიდა ხელი, რამაც სათანადო შედეგი გამოიღო, აამაღლა კომუნისტების ავანგარდული როლი გეგმისათვის ბრძოლაში. მაგალითად, მკერავი ამხ. ს. კორინინი თუ საწარმოო გეგმას 100 პროცენტით ძლივს ასრულებდა, ამჟამად 130-135 პროცენტით ასრულებს. საამქროს სტახანოველი, პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. ელბაქიძე თავის გამოცდილებას უზიარებს და კონკრეტულად ეხმარება გეგმებისათვის ბრძოლაში ჩამორჩენილ ამხანაგებს. მაგალითად, მისი დახმარების შედეგად ამხ. ა. აჯიიანცი და კ. ბონდარენკო, რომლებიც გეგმას მხოლოდ 90 პროცენტით ასრულებდნენ, ახლა 160-190 პროცენტით ასრულებენ.

კომუნისტებმა უპარტიო მუშა-სტახანოველებთან ერთად საამქრო ჩამორჩენიდან გამოიყვანეს. საამქრომ ივლისის დავალება 117 პროცენტით შეასრულა; თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. პარტიული ბიურო კონკრეტულად ეხმარება ახალგაზრდა კომუნისტებს პარტიულ დავალებათა შესრულებაში. საამქროში სანიმუშოდ ატარებენ ბოლშევიკურ აგიტაციას, აგიტატორები ამხ. გაბუნია, შეჟანოვი, იმატუნი დამაჯერებელი და მგზნებარე სიტყვებით საუბრობენ მუშებთან ჩვენი დიადი სამშობლოს საშინაო და საგარეო ამბების გარშემო.

კარგად ანხორციელებს კონტროლს სამეურნეო საქმიანობისადმი ავტოსარემონტო ქარხნის ამწყობი საამქროს პარტორგანიზაციის ბიურო (მდივანი ამხ. ნეფედოვი). ბიურო სისტემატურად იხილავს საწარმოო საკითხებს, სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს და ბოლშევიკურად იბრძვის ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. ამით უნდა აიხსნას ის, რომ საამქრო ამჟამად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო-საფინანსო გეგმას. აქ კარგად არის დაყენებული პარტიულ დავალებათა შესრულების შემოწმებაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა რიგმა საამქრო პარტორგანიზაციათა ბიუროებმა ჯერ კიდევ ვერ მოაწყეს თავისი მუშაობა ბოლშევიკურად, ვერ გააკეთეს სერიოზული დასკვნები XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებებიდან. ასეთებს შეგვიძლია მივაკუთნოთ 1-ლი სამკერვალო ფაბრიკის საამქროს პარტორგანიზაცია № 4. აქ ბიურომ კრება ჩაატარა ორჯერ, რომლებზედაც გამოიტანა მშრალი და საერთო ხასიათის და არაფრის მთქმელი დადგენილება. საამქრო პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანს ამხ. ქარსელაძეს ერთხელაც არ ჩაუტარებია საუბარი იმ კომუნისტებთან, რომლებიც დამოუკიდებლად მეცადინეობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლისათვის. 8 კომუნისტს (ამხ. ვაშაკიძეს, გრიგორიანს, ბაბაევას და სხვ.) არა აქვთ არავითარი პარტიული დავალება. ზოგიერთებს აქვთ დავალება, მაგრამ მისი შესრულების შემოწმებაზე არავინ ფიქრობს. ანალოგიური მდგომარეობაა ამავე ფაბრიკის მექანიკურ საამქროს და ლაბორატორიის პარტორგანიზაციებშიაც.

ცხადია, ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიურო და მისი მდივანი სუსტად ხელმძღვანელობენ მათ. პარტბიუროს მდივანს ამხ. ქარუმიძეს საამქრო პარტორგანიზაციის ბიუროები ერთხელაც არ შეუკრებია და არ მიუთითებია, თუ რა ნაკლია მათ მუშაობაში და როგორ უნდა იმუშაონ შემდგომში.

სუსტად მუშაობენ ხორცკომბინატის საამქროების პარტორგანიზაციათა ბიუროები. აქ კრებების მოწვევას შემთხვევითი ხასიათი აქვს. პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ არ არის კარგად გაცნობილი, თუ როგორ სწავლობენ კომუნისტები საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს. ბიუროებს ჯერ არ ჩაუტარებიათ ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიაზე დამოუკიდებლად მომეცადინე ამხანაგების თათბირი, არ გაუწევიათ მათთვის კონკრეტული დახმარება.

ამხანაგ ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის პარტორგანიზაციის ბიურო (მდივანი ამხ. მღებრიშვილი) არასაკმაო ხელმძღვანელობას უწევს საამქრო პარტორგანიზაციათა ბიუროებს. ამის გამო ზოგიერთ საამქროში კომუნისტების ავანგარდული როლი არა სჩანს, ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევას (მეორე კორპუსის, გადამჭიმავი საამქროს პარტორგანიზაცია). ამ საამქროებში პარტორგანიზაციათა ბიუროები სუსტად იბრძვიან ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობისადმი კონტროლის გაწევისათვის.

საამქრო პარტორგანიზაციათა ბიუროების მდივნების გაფართოებულ თათბირზე, რომელიც საკ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ინიციატივით ამ რამდენიმე დღის წინათ ჩატარდა, მთელი სიცხადით დადასტურდა ის გარემოება, რომ მთელი რიგი საამქრო პარტორგანიზაციათა ბიუროები თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ამაღლებისათვის. მათ სწორად გაიგეს XVIII პარტყრილობის მითითებანი და საკ. კ. პ. (ბ) წესდების მოთხოვნანი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან შეთავსების შესახებ.

ამჟამად ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უფრო გავაუმჯობესოთ საამქროების პარტორგანიზაციათა მუშაობა, ფართოდ ჩავაბათ მათს ყოველდღიურ საქმიანობაში საამქროს კომუნისტები და მუშა-მოსამსახურენი. საამქროს პარტორგანიზაციამ უნდა იცოდეს საამქროსა და თავის სამუშაო უბნის თვითეული დეტალი, რომ შესძლოს მუშაობაში ოპერატიული სტილის დანერგვა, ნამდვილი კონკრეტული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა.

საამქროების პარტორგანიზაციათა ბიუროების მთელი რიგი მდივნები პირველად არიან არჩეულნი, მათ ჯერ კიდევ არა აქვთ მუშაობის გამოცდილება. ამიტომ პირველადი პარტორგანიზაციების ბიუროების მდივნებს სერიოზული ამოცანები ეკისრებათ მათდამი ხელმძღვანელობის დარგში.

პირველადი პარტორგანიზაციის მდივნებმა ყოველდღიურად უნდა ასწავლონ საამქროების პარტორგანიზაციების მდივნებს ბოლშევიკური სტილით მუშაობა, გაუწიონ ინსტრუქტაჟი, დაეხმარონ მათ მუშაობაში, სისტემატურად მოიწვიონ მდივნების თათბირები პარტიული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. განუმარტონ, თუ როგორ ჩაატარონ პარტიული კრება, როგორ მოაწყონ პარტიის წევრობის კანდიდატების ბოლშევიკური აღზრდა, როგორ გაშალონ საამქროში საგიტაციო-პოლიტიკური მუშაობა, როგორ იბრძოლონ წარმოებაში კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებისათვის და ა. შ.

ამავე დროს საჭიროა საამქროების პარტორგანიზაციების ბიუროებმა გამოიჩინონ მეტი ინიციატივა, მათ პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალგაზრდა კომუნისტების ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბიუროების მდივნებმა შესძლონ კომუნისტებს შორის პარტიულ დავალებათა სწორად განაწილება, დაეხმარონ ამხანაგებს დავალებათა შესრულებაში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა და ამხანაგ **სტალინის** მითითებათა განუხრელად გატარების საფუძველზე პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ საამქროების პარტორგანიზაციებისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება.

◆

ჩემბერლენის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, დღეს თემთა პალატაში ჩემბერლენი გამოვიდა საერთაშორისო ამბების ერთ-ვიწრეული მიმოხილვით, რომელშიც მან პასუხი გასცა ჰიტლერს წინადადებაზე ზავის შესახებ. იმ პირთა შორის, რომლებიც თემთა პალატის სხდომას დაესწრნენ, იყვნენ ინგლისის დომინიონების წარმომადგენლები.

თავისი სიტყვა ჩემბერლენმა დაიწყო იმის მოგონებით, რომ თემთა პალატაში გამოსვლისას გასულ კვირას მან აღნიშნა: თუ გერმანიის მხრივ წამოყენებულ იქნება სამშვიდობო წინადადება, მაშინ ეს წინადადება განხილულ იქნება დომინიონებისა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის კონსულტაციით. ამის შემდეგ გერმანიის კანცლერი გამოვიდა სიტყვით და კონსულტაციები, რომლის შესახებ ლაპარაკი იყო წარსულ გამოსვლაში, უკვე მოხდა. ახლანდელი ომის დაწყების ისტორიის დაწვრილებითი მიმოხილვის შემდეგ, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ [illegible] მიიღოს ჰიტლერის წინადადებანი, როგორც საფუძველი სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის. ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ჰიტლერის წინადადებანი გაურკვეველია და ეს წინადადებები რომ კიდევაც შეიცავდეს „გადაკრულ ნათქვამს იმის შესახებ, თუ იქნება ანაზღაურებული მოყენებული ბოროტება", მაშინ ამ შემთხვევაშიც ინგლისის მთავრობა გარანტიად მოითხოვდა „არა სიტყვას, არამედ საქმეს". „რა უშლის ხელს, რომ ზავს მივაღწიოთ? — იკითხა ჩემბერლენმა. — გერმანიის მთავრობა და მხოლოდ გერმანიის მთავრობა". ინგლისის მთავრობამ იცის, რომ თანამედროვე ომში, რომელიც იწარმოებს დიდ სახელმწიფოებს შორის, გამარჯვებულიცა და დამარცხებულიც სასტიკ ზარალს ნახავს. მიუხედავად ამისა, განაცხადა ჩემბერლენმა, ინგლისის მთავრობას არ სურს კაპიტულირება და განზრახული აქვს ბოლომდე მიიყვანოს საქმე.

პარლამენტის ლეიბორისტ დეპუტატთა კერძო თათბირი

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). 10 ოქტომბერს ლონდონში შესდგა პარლამენტის 18 ლეიბორისტი დეპუტატის კერძო თათბირი, რომლის დროსაც განხილულ იქნა საკითხი, თუ რა ღონისძიებანი უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ უზრუნველჰყონ მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყება ზავის დადების შესახებ. ჰფიქრობენ, რომ თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოითხოვონ დროებითი ზავის დაუყოვნებლივ დადება და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა ერთერთ ნეიტრალურ ქვეყანაში.

საფრანგეთის ცნობა სამხედრო მოქმედების შესახებ

პარიზი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს შემდეგ ოფიციალურ კომუნიკეს: „11 ოქტომბერი, საღამო. მოწინააღმდეგის პატრულების აქტივობა მდინარე მოზელსა და მდინარე საარს შორის მდებარე რაიონში კვლავ ძლიერდება. იმავე რაიონში ორივე მხარე საარტილერიო სროლას აწარმოებს".

პარიზი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო საომარი მოქმედების შესახებ გამოქვეყნებულ კომუნიკეში, რომელიც 12 ოქტომბერს დილით იქნა გადმოცემული, აღნიშნავს, რომ „ღამით ფრონტის რამდენიმე ადგილას მოზელსა და რაინს შორის ადგილი ჰქონდა მოწინავე ხაზების ჯარის ნაწილების აქტივობას".

გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 12 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის უმაღლესი სარდლობის ცნობას, სადაც ნათქვამია: „ცენტრალურ პოლონეთში გერმანიის ჯარმა მდინარე ბუგს მიაღწია რამდენიმე ალაგას. დასავლეთში პატრულების უმნიშვნელო მოქმედება და საარტილერიო სროლაა. ჩრდილოეთ ზღვაში და დასავლეთში საჰაერო დაზვერავი უმნიშვნელო მოქმედებაა. საჰაერო ბრძოლაში ლაუტერბურგის სამხრეთით სროლა ავუტეხეთ საფრანგეთის თვითმფრინავს".

გერმანიის ავიაციის თავდასხმა ინგლისის ფლოტის გემებზე

ლონდონი, 12 ოქტომბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ, თანახმად ინგლისის საზღვაო სამინისტროს მიერ გუშინ ლონდონში გამოქვეყნებულ ცნობისა, 9 ოქტომბერს ჩრდილოეთის ზღვაში გერმანიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ინგლისის ნაღმოსანს. ამავე დღეს ჩრდილოეთის ზღვაში გერმანიის ავიაცია თავს დაესხა ინგლისის კრეისერთა ესკადრას. გერმანიის თვითმფრინავებმა ხუთი საათის განმავლობაში 100-ზე მეტი ყუმბარა ჩამოაგდეს. საზღვაო სამინისტროს განცხადებით, მხოლოდ ერთი ყუმბარა დაეცა ერთერთი კრეისერის მახლობლად. ცნობაში ნათქვამია, ინგლისის ესკადრას ზარალი არ მოსვლია.

პროფესორ კემეჟისის სტატია

კაუნასი, 12 ოქტომბერი (საკდესი). კაუნასში გამოვიდა სპეციალური გაზეთი „მუსუ ვილნიუს" (ჩვენი ვილნო), რომელშიც მოთავსებულია პროფესორ კემეჟისის სტატია. კემეჟისი სწერს:

„ჩვენმა მეზობელმა დიდმა საბჭოთა კავშირმა ჩვენ გადმოგვცა ვილნო და ვილნოს ოლქი. ნუთუ საჭიროა იმის ხანგრძლივი განმარტება, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ამ ნაბიჯს? ჩვენი ურთიერთობა სსრ კავშირთან ყოველთვის მეგობრული იყო. ამ ურთიერთობაში ადგილი არ ჰქონია ხელშეკრულებათა დარღვევას. ჩვენ გვახარებს ის გარემოება, რომ ახლა ჩვენს დიდ მეზობელთან უშუალო საზღვარი გვაქვს, რაც საშუალებას გვაძლევს ვიქონიოთ მასთან უფრო მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიური ურთიერთობანი.

რუსეთის დიდ ადამიანთა შემოქმედებანი მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში დიდი ხანია ცნობილია ჩვენი ხალხისათვის. ლიტვის ხალხი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს სსრ კავშირის წარმატებას მისი მოღვაწეობის ყველა დარგში და განსაკუთრებით კულტურის დარგში. ჩვენ ვისწრაფვით გამოვაცოცხლოთ სავაჭრო ურთიერთობა სსრ კავშირთან. ვისწრაფვით რუს ხალხთან კულტურული თანამშრომლობისაკენ".

უკანასკნელი ცნობები

ესტონეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ტალინი, 12 ოქტომბერი (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ ესტონეთის მთავრობა პრემიერ-მინისტრ ენპალუს მეთაურობით გადადგა, პრეზიდენტმა ახალი მთავრობის შედგენა დაავალა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარეს პროფესორ ულუოტსს. დღეს, 12 ოქტომბერს, პროფესორმა ი. ულუოტსმა პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემდეგი შემადგენლობა, რომელიც პრეზიდენტმა დაამტკიცა: 1) პრემიერ-მინისტრი—პროფესორი ულუოტსი, 2) საგარეო საქმეთა მინისტრი — პროფესორი ა. პიიპი (ტარტუსის უნივერსიტეტის პროფესორი), 3) სამხედრო მინისტრი — ნ. რეეკი (ესტონეთის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი), 4) შინაგან საქმეთა მინისტრი — ა. იურიმა, 5) განათლების მინისტრი — პ. კოგერმანი (ტალინის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი), დანარჩენ 6 სამინისტროს მეთაურობენ წინანდელი მინისტრები (სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი — ო. კასკი, სახალხო მეურნეობის მინისტრი — ლ. სეპი, პროპაგანდის მინისტრი — ა. ოიდერმაა, სოფლის მეურნეობის მინისტრი — ა. ტუპიტსი, გზათა მინისტრი — ვიტაკი და იუსტიციის მინისტრი — ასორი). პრემიერთან ერთად მთავრობა 11 კაცისაგან შესდგება.

საფრანგეთის კომუნიკე საომარი მოქმედების შესახებ

პარიზი, 13 ოქტომბერი (საკდესი). ჰავასის სააგენტო გადმოგვცემს გუშინ საღამოთი გამოქვეყნებულ შემდეგ ოფიციალურ კომუნიკეს საომარი მოქმედების შესახებ: „შემჩნეულია ორივე მხარის პატრულებისა და ჩვენი მოწინავე ნაწილების აქტივობა, განსაკუთრებით საარბრიუკენის რაიონში".

დასავლეთის ფრონტზე

პარიზი, 13 ოქტომბერი (საკდესი). საფრანგეთის ოფიციალური კომუნიკე, რომელიც დღეს დილით გამოქვეყნდა, იუწყება: „ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა ფრონტის მთელ ხაზზე. ვარნდტის ტყის რაიონში მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის პატრულების წინსვლა".

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობა

ბერლინი, 13 ოქტომბერი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ცნობას, რომელშიც ნათქვამია: „აღმოსავლეთში წინსვლა გერმანიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესების საზღვრისაკენ მალე დამთავრდება. დასავლეთში, ისე როგორც წინა დღეებში, სწარმოებს საარტილერიო სროლა. გუშინ ფრანგებმა ააფეთქეს რაინის ხიდები ვინტერდორფთან. ბრაიზახთან და ნოიბურგთან".

ვან ძინ-ვეის აგენტების თავდასხმა „ძენმეიჟიბაოზე"

შანხაი, 13 ოქტომბერი (საკდესი). 9 ოქტომბერს ვან ძინ-ვეის აგენტები თავს დაესხნენ გაზეთ „ძუნმეიჟიბაოს" რედაქციას. მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის აგენტები ყოველნაირად ცდილობენ გაზეთის ტერორიზებას, მისი პოპულარობა ჩინეთის მოსახლეობაში სულ უფრო იზრდება. გაზეთმა გადალახა ვან ძინ-ვეის აგენტების მიერ შექმნილი ყოველგვარი სიძნელე და 12 ოქტომბერს გამოვიდა არაჩვეულებრივი ტირაჟით 100 ათასი ცალის რაოდენობით.



ლიტვის პრესა საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების შესახებ

კაუნასი, 11 ოქტომბერი (საკდესი). ლიტვის ყველა გაზეთმა პირველ გვერდზე მოათავსა ტექსტი ხელშეკრულებისა ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოსა და ვილნოს ოლქის გადაცემისა და საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ. გაზეთმა „ლიეტუვოს ჟინიოსმა" მოათავსა ამხანაგების სტალინის, მოლოტოვისა და ვოროშილოვის პორტრეტები. „ლიეტუვოს აიდასი" საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულებისადმი მიძღვნილ სტატიაში აღნიშნავს, რომ „ლიტვის ხალხს ყველა საფუძველი აქვს გაიხაროს, ვინაიდან აღმოფხვრილია ის შეურაცხყოფა, რომელიც 19 წლის წინათ მიაყენეს ლიტვას პოლონელმა დამპყრობლებმა". აღნიშნავს რა, რომ ლიტვის ხალხს არ შეიძლება ჰქონდეს სხვა აზრი, გაზეთი აცხადებს: „ლიტვის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე სსრ კავშირის ხელმძღვანელები იცავდნენ ლიტვის სამართლიან მოთხოვნებს. მთელს მსოფლიოს საშუალება ეძლევა დარწმუნდეს, რომ დიდმა საბჭოთა კავშირმა კარგად იცის თავისი მეზობლების სამშვიდობო პოლიტიკის დაფასება. სსრ კავშირი მუდამ ცნობილი იყო, როგორც სამშვიდობო პოლიტიკის მომხრე. ამ მხრივ ლიტვას ყოველთვის კარგად ესმოდა მშვიდობიანობის ის პოლიტიკა, რომელსაც სსრ კავშირი ატარებდა.

ლიტვისა და სსრ კავშირის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, უეჭველია, კიდევ უფრო დააახლოვებს ამ ორ სახელმწიფოს. ლიტვა არასოდეს არ ამბობდა უარს იმაზე, რომ გაეფართოებინა თავისი ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან წარსულშიც, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო საერთო საზღვრები. ახლა ეს ურთიერთობანი თავისთავად და სავსებით ბუნებრივად უფრო მეტად გაფართოვდება".

გაზეთი „XX ამჟიუსი" მოწინავე სტატიაში სწერს: „სსრ კავშირსა და ლიტვას შორის დადებული ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ნათლად მოწმობს ხელშეკრულების დამდებ მხარეთა ვალდებულებებს. ლიტვის სახელმწიფოს სუვერენობის ურყევობა ნათლად არის აღნიშნული ხელშეკრულებაში. ამ მხრივ ხელშეკრულების მუხლებს არ შეუძლია ვისმეში ოდნავი ეჭვიც კი გამოიწვიოს. საბჭოთა კავშირის ოცი წლის პრაქტიკას აგრეთვე არ მოუცია დღემდე იმის ოდნავი საფუძველი, რომ ეჭვი შეგვეტანა საბჭოთა კავშირის მთავრობის ლოიალობაში უცხო სახელმწიფოთა მიმართ ნაკისრევ ვალდებულებათა შესრულების მხრივ".

ლატვიისა და ესტონეთის პრესის გამოხმაურება

რიგა, 11 ოქტომბერი (საკდესი). ლატვიის გაზეთები უდიდეს ყურადღებას აქცევენ სსრ კავშირსა და ლიტვას შორის დადებულ ხელშეკრულებას. საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების ტექსტი და „პრავდის" მოწინავე სტატია დაბეჭდილია პირველ გვერდებზე. გაზეთებმა აგრეთვე მოათავსეს სსრ კავშირსა და ლიტვას შორის დაწესებული ახალი საზღვრის რუკა.

პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლიტვის რესპუბლიკისათვის ქალაქ ვილნოსა და ვილნოს ოლქის გადაცემა წარმოადგენს ისეთ ნაბიჯს, რომლის გადადგმაც მხოლოდ საბჭოთა კავშირს შეუძლია. სსრ კავში- [illegible] ფენები.

გაზეთი „ბრივა ზემე" აღნიშნავს: „მიმდინარე წლის ამბების სწრაფი განვითარება ჩვენს მეზობელ ხალხს კვლავ აძლევს იმას, რაც მას ძალითა და ცბიერებით მოსტაცეს 19 წლის წინათ".

ტალინი, 12 ოქტომბერი (საკდესი). საბჭოთა კავშირ-ლიტვის ურთიერთდახმარების პაქტს აქ იმის დამამტკიცებელ საბუთად სთვლიან, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრობით ატარებს მშვიდობიანობისა და ყველა ხალხის ინტერესების დაცვის პოლიტიკას. ესტონეთის გაზეთები დღეს აქვეყნებენ ამ პაქტის ტექსტს და „პრავდის" მოწინავეს შემდეგი სათაურით: „საბჭოთა კავშირი [illegible] ვილნოს გადაცემის მნიშვნელობას.

საფრანგეთის მთავრობამ ფრანკოს გადასცა რესპუბლიკური ესპანეთის კუთვნილი ოქრო

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი (საკდესი). „ნიუ-იორკ ტაიმსის" პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, საფრანგეთის მთავრობამ ფრანკოს მთავრობას გადასცა 37 ყუთი ოქრო, ძვირფასი თვლები და ვალუტა, რაც რესპუბლიკური ესპანეთის მთავრობას ეკუთვნოდა.

ლიტველი მწერლის განცხადება

კაუნასი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ცნობილმა ლიტველმა მწერალმა პეტრას ცვირკამ საკდესის კორესპონდენტს გადასცა შემდეგი განცხადება:

„ქალაქი ვილნო ლიტვას გადაეცა. ლიტვის დედაქალაქის დაპყრობის ყაჩაღური აქტი, რაც პანური პოლონეთის გენერლებმა ჩაიდინეს 19 წლის წინათ, ახლა გაუქმებულია. საბჭოთა მთავრობამ გაიგო ლიტვის ხალხის გულისნადები. სსრ კავშირი ამჯერადაც მცირე ხალხთა დამცველად და ქომაგად გამოვიდა. მთელი ლიტველი ხალხი სიხარულით აღავსო ლიტვისათვის ვილნოს გადაცემამ და განსაკუთრებით სსრ კავშირსა და ლიტვას შორის ურთიერთდახმარების შესახებ დადებულმა პაქტმა. ჩვენ ახლა ვიცით, რომ ჩვენ ზურგს გვიმაგრებს ძლიერი საბჭოთა კავშირი და რომ ჩვენი მშვიდობიანი შრომის პირობები უზრუნველყოფილია.

ლიტველი მოწინავე მწერლები, რომელთა სახელითაც მე ვლაპარაკობ, უღრმეს მადლობას უძღვნიან საბჭოთა კავშირსა და მის ბელადებს დიდ სტალინს, მოლოტოვსა და ვოროშილოვს.

ახალი, ისტორიული ამბების წინაშე ლიტველ ხალხში მტკიცდება უკეთესი, უფრო სამართლიანი ცხოვრების იმედი.

პეტრას ცვირკა

კაუნასი, 1939 წლის 12 ოქტომბერი".

სმეტონის გამოსვლა

კაუნასი, 12 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ დემონსტრანტების წინაშე სიტყვა წარმოსთქვა ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სმეტონამ, რომელმაც სთქვა:

„ჩვენს მეგობარ დიდ საბჭოთა კავშირთან შეთანხმების შედეგად მივიღეთ ვილნო და ვილნოს ოლქი". სმეტონამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ [illegible] უფრო განმტკიცდება, და სთქვა: „ამის თავმდებია ის საერთო საზღვრები დიდ მეზობელთან, რომელთაც, თუ საჭირო გახდა, ჩვენ ერთად დავიცავთ".

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ვილნოს მიღება დიდ სიხარულს წარმოადგენს ლიტველი ხალხისათვის".

ლატვიის პრეზიდენტ ულმანისის გამოსვლა

რიგა, 12 ოქტომბერი (საკდესი). დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე, ლატვიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სიტყვა წარმოსთქვა რადიოთი. პრეზიდენტმა სიტყვის უმეტესი ნაწილი უძღვნა აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილ ვითარებას, და უმთავრესი ყურადღება მიაქცია ლატვიასა და სსრ კავშირს შორის ურთიერთდახმარების შესახებ დადებულ ხელშეკრულებას და მის მნიშვნელობას ლატვიისათვის. პრეზიდენტმა ილაპარაკა იმის შესახებ, რომ ლატვიას არ შეეძლო განზე გასდგომოდა იმ ამბებს, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს აღმოსავლეთ ევროპაში მოხდა. მას შემდეგ, რაც ბალტიის სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები იყვნენ მოსკოვში, ლატვიის მთავრობამაც მიიღო საბჭოთა მთავრობის წინადადება ურთიერთობის მოწესრიგების შესახებ.

პრეზიდენტი შეჩერდა იმაზე, რომ ომმა გავლენა მოახდინა ლატვიის სამეურნეო მდგომარეობაზე და განაცხადა, საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის გაფართოება მდგომარეობას გამოასწორებს.

დემონსტრაციები კაუნასში

კაუნასი, 11 ოქტომბერი (საკდესი). სსრ კავშირსა და ლიტვას შორის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით კაუნასის ქუჩებში მთელი დღე გრძელდებოდა დემონსტრაციები და მიტინგები. შუა ღამემდე საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობასთან მოდიოდა დიდძალი ხალხი. შეკრებილნი მიესალმებოდნენ საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა მთავრობას.

ფინეთის პრესა საბჭოთა კავშირ-ლიტვის პაქტის შესახებ

ჰელსინკი, 12 ოქტომბერი (საკდესი). ფინეთის დღევანდელი გაზეთები იტყობინებიან საბჭოთა კავშირ-ლიტვის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების შესახებ და მთლიანად მოჰყავთ მოსკოვში ხელმოწერილი პაქტის ტექსტი. გაზეთ „სუომენ სოციალიდემოკრატის" სათაურებში ხაზგასმით არის აღნიშნული: „ლიტვა კმაყოფილია ვილნოს გადაცემით", „ჰელსინგინ სანომატი" ჰბეჭდავს ინფორმაციას შემდეგი სათაურებით: „დღესასწაული ლიტვაში. დემონსტრაცია საბჭოთა მისიის შენობის წინ".

ბულგარეთის გაზეთი საბჭოთა კავშირ-ლიტვის პაქტის შესახებ

სოფია, 12 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „უტრო" აქვეყნებს საბჭოთა კავშირ-ლიტვის ხელშეკრულების სრულ ტექსტს და ამ ტექსტის კომენტარში აღნიშნავს, რომ ლიტვის მოსახლეობა უდიდესი ენტუზიაზმით შეეგება ხელშეკრულებას. გაზეთებს მოჰყავთ ამონაწერები ლიტვის გაზეთებიდან და „პრავდის" მოწინავიდან და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს პაქტი ძველი უსამართლობის მოსპობას მოასწავებს.

გაფიცვა კრეისლერის ქარხნებში

ნიუ-იორკი, 12 ოქტომბერი (საკდესი). საავტომობილო ფირმის „კრეისლერის" სამ საწარმოში საავტომობილო მრეწველობის საწარმოო პროფკავშირთა კონგრესში შემავალმა 20 ათასმა მუშამ საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადა ქარხანაში არსებული შრომის პირობებისა და ქარხნიდან მუშების დათხოვნის წინააღმდეგ.

სასამართლო-პროკურატურის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კონფერენცია

10 და 11 ოქტომბერს თბილისში მიმდინარეობდა სასამართლო - პროკურატურის მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდა 55 დელეგატი.

კონფერენციამ საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ოვაციით აირჩია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს მთელი შემადგენლობა ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** მეთაურობით და აგრეთვე ამხანაგები **კ. ჩარკვიანი და ვ. ბაქრაძე**

კონფერენციის პირველ სხდომაზე მოისმინეს სასამართლო - პროკურატურის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ა. ძნელაძის საანგარიშო მოხსენება და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ბურდულაძის თანამოხსენება. მოხსენებათა გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს: ამხ. გ. მირცხულავამ (აფხაზეთის ასსრ), შ. ხუხუამ (ცხაკაია), გ. სრაბოვმა (ახალციხე), შ. იოსელიანმა (ქუთაისი), ა. ვაშაყმაძემ (ბაღდათი), ს. ზურნაჯიანმა (წალკა), ა. ოდიშარიამ (ფოთი), ე. გერსამიამ (თბილისი), ნ. მიქაძემ (ტყიბული), ი. ჯიბლაძემ (ხარაგოული), გ. ვართანოვმა (ბორჩალო), ა. ჩიქოვანმა (იუსტიციის სახ. კომისარიატი), გ. ბურკაძემ (გურჯაანი), მ. შამბამ (აფხაზეთის ასსრ), ვ. ბერძენიშვილმა (რესპუბლიკური კომიტეტი) და საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ ამხ. ს. ჯანჯღავამ.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ სასამართლო - პროკურატურის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა XVIII პარტყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, მაგრამ, მუშაობის ერთგვარი გამოცოცხლების მიუხედავად, ჯერ კიდევ მრავალ ნაკლს აქვს ადგილი კავშირის წევრთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის, ძირეული პროფორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის, პროფმეურნეობის მოწესრიგების საქმეში და სხვ. კონფერენციამ მიიღო შესაფერისი რეზოლუცია.

კონფერენციამ ფარული კენჭისყრით აირჩია სასამართლო - პროკურატურის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პლენუმი 19 წევრის შემადგენლობით, სარევიზიო კომისია და დელეგატები სასამართლო - პროკურატურის მუშაკთა კავშირის სრულიად - საკავშირო ყრილობაზე დასასწრებლად.

კონფერენციის დახურვის შემდეგ შესდგა კავშირის ახლად არჩეული პლენუმის საორგანიზაციო სხდომა. პრეზიდიუმში აირჩიეს 7 წევრი. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ა. ძნელაძე, მდივნად ა. ჩიქოვანი.

მ. ი. ლერმონტოვის ხსოვნის საღამო

13 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე საქართველოს ნორჩ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში შესდგა სალიტერატურო-მხატვრული საღამო, რომელიც მიეძღვნა დიდი რუსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის დაბადების 125-წლისთავს.

საღამოს 500-ზე მეტი კაცი დაესწრო.

მ. ი. ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა პროფ. ს. დანელიამ.

საღამოს მხატვრულ ნაწილში პოეტის ლექსები ქართულ და რუსულ ენაზე წაიკითხეს საქართველოს ნორჩ მაყურებელთა თეატრის მსახიობმა ქალებმა ბ. კუპრაშვილმა, თ. თვალიაშვილმა, აგრეთვე მოწაფე ქალებმა ნ. ხუნდაძემ (მე-16 სკოლა), ლ. ჩორიამ (მე-12 სკოლა) და სხვ.

ინსცენირებულ იქნა ცალკეული ადგილები მ. ი. ლერმონტოვის პოემა „მწირიდან" თეატრის მსახიობების ა. ტუსიშვილისა და მ. აღნიაშვილის მონაწილეობით.

დასასრულ უჩვენეს კინო-სურათი „თავადის ქალი მერი" მ. ი. ლერმონტოვის რომანის „ჩვენი დროის გმირის" მიხედვით. (საქდესი).

ლერმონტოვი აფხაზურ ენაზე

სოხუმი, (საქდესი). ემზადებიან რა დიდი რუსი პოეტის მ. ი. ლერმონტოვის დაბადების 125 წლისთავისათვის, აფხაზეთის პოეტები აფხაზურ ენაზე სთარგმნიან მის რჩეულ ნაწარმოებებს.

პოეტმა ლ. კვიცინიამ სთარგმნა ლერმონტოვის შემდეგი ლექსები: „ფიქვი", „იალქანი" და „ნანა".

პოემა „დემონის", „მწირის" და სხვ. თარგმანზე მუშაობენ პოეტები დ. გულია, აგუმაა და შინკუბა.

ლექსები ცალკე კრებულად გამოვა.

○

იუბილეს დღეებში სოხუმის კლუბებსა და სკოლებში გაიმართება მ. ი. ლერმონტოვის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები.

ფ ე ხ ბ უ რ თ ი

თბილისის „დინამოს" გამარჯვება

მწვავე და დაძაბულ პირობებში მიმდინარეობდა ეს საინტერესო მატჩი. თავბრუდამხვევი ტემპი, ხშირი კრიტიკული მომენტები, მცველებისა და თავდამსხმელების თავგანწირული თამაში ახასიათებდა თბილისის „დინამოს" და სტალინოს „სტახანოვეცის" ოსტატ-ფეხბურთელთა გუნდების ამ შეჯიბრებას სსრკ პირველობაზე.

დაიწყო თუ არა მატჩი, იმავე წუთს ბურთი თბილისის კართან გაჩნდა. მცველების მცირე ტაქტიკური შეცდომა საკმარისი იყო იმისათვის, რომ „დინამოს" კარში პირველი ბურთი გაეტანათ.

მაგრამ ამის შემდეგ ერთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ბურთი „სტახანოვეცის" საჯარიმო მოედანზე დატრიალდა. თბილისელმა თავდამსხმელებმა ზუსტად გაითამაშეს კომბინაცია და ხარბედიამ სტუმრების კარში საპასუხო ბურთი გაიტანა.

მე-15 წუთზე „სტახანოვეცის" ერთერთი მცველი საჯარიმო მოედანზე ხელით შეეხო ბურთს. სტუმრები „პენალტით" დააჯარიმეს. მ. ბერძენიშვილმა სტუმრების კარში მეორე ბურთი გაიტანა.

თბილისელები შეთანხმებულად და სწრაფად თამაშობენ. განსაკუთრებით კარგად თამაშობდა ბ. პაიჭაძე. მე-30 წუთზე პაიჭაძემ გაიტაცა ბურთი, მოუარა რამდენიმე მცველს და დროულად გადასცა გავაშელს, რომელმაც თავის მხრით ბურთი ბერეჟნოის გადააწოდა, უკანასკნელს მიაშურეს ყველა მცველებმა და თავისუფლად დასტოვეს ხარბედია. ბერეჟნოიმ გამოიყენა ეს მომენტი და მოხდენილად გადასცა ბურთი ხარბედიას, რომელმაც „სტახანოვეცის" კარში მესამე ბურთი მოაქცია.

მეორე ტაიმში თბილისელები ნაკლები პასუხისმგებლობით მოეკიდნენ მატჩს. შეანელეს თამაშის ტემპი და თავდაცვაზე გადავიდნენ. ამ უპასუხისმგებლობას სტუმრებმა თამაშის ტემპის მაქსიმალური გაძლიერებითა და ძლიერი შეტევებით უპასუხეს. ამის შედეგად პირველსავე წუთებში „დინამოს" კარში მეორე ბურთი შევარდა.

თამაშის დამთავრებამდე ინიციატივა თითქმის სტუმრების ხელში იყო, მაგრამ შეჯიბრების შედეგი უცვლელი დარჩა.

მატჩი დამთავრდა თბილისელების გამარჯვებით ანგარიშით 3:2.

თბილისელებს კიდევ ორი ქულა შეემატათ. მათ 20 მატჩიდან შეაგროვეს 24 ქულა.

სსრ კავშირის პირველობაზე

12 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში გაიმართა ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე. მოსკოვის „სპარტაკისა" და კიევის „დინამოს" მატჩი დამთავრდა ფრედ 2:2. „მეტალურგმა" დაამარცხა ლენინგრადის „ელექტრიკი" ანგარიშით 2:1. მოსკოვის „დინამომ" დიდი უპირატესობით დაამარცხა ოდესის „დინამო"—6:0. მოსკოვის „ტორპედომ" დაამარცხა გათამაშების ლიდერი ცდკა ანგარიშით 4:3.

ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების „ბ" ჯგუფში თბილისის „ლოკომოტივსა" და ბაქოს „ტემპს" შორის ჩატარებული მატჩი დამთავრდა „ტემპის" ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 2:1. ხოლო ბათუმის „დინამომ" დაამარცხა როსტოვის „დინამო" ანგარიშით 3:1.

ხელოვნება

სეზონის გახსნა თელავის თეატრში

ამ დღეებში გაიხსნა თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრის 1939-40 წლის სეზონი. ახალი სეზონი გაიხსნა ვ. გაბესკირიას „მათი ამბავით".

მიმდინარე სეზონში თელავის სახელმწიფო თეატრი გარდა გასული წლის რამდენიმე დადგმისა უჩვენებს ახალ დადგმებს: გ. ნახუცრიშვილისა და ბ. გამრეკელის „ლადო კეცხოველს", ა. ცაგარელის „ხანუმას", მოლიერის „ძალად ექიმს", გ. ბერძენიშვილის „ჩვენ მიწას", ა. შირვანზადეს „პატიოსნებისათვის", აკ. წერეთლის „პატარა კახს", გერგელისა და ლიტოვსკის „ჩემ შვილს" და ი. გედევანიშვილის „მსხვერპლს".

თეატრის რეჟისორია გ. როსება, მხატვარი — დ. ბალარჯიშვილი.

ფ. მაჭავარიანი.

კომპოზიტორების შემოქმედებითი თათბირი

ახალი მუსიკალური ნაწარმოებების მოსასმენად და განსახილველად საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირმა გადაწყვიტა სისტემატურად მოაწყოს კომპოზიტორების შემოქმედებითი თათბირები.

პირველი შემოქმედებითი თათბირი მოეწყო 9 ოქტომბერს. თათბირს დაესწრნენ კომპოზიტორები, მუსიკის მცოდნენი, თბილისის სახ. კონსერვატორიის სტუდენტები და სხვ. განიხილეს ა. მაჭავარიანის საფორტეპიანო სკერცო და ო. ბარამიშვილის ორი რომანსი ბარიტონისათვის სიმფონიური ორკესტრის აკომპანიმენტით. განხილვაში მონაწილეობა მიიღეს კომპოზიტორებმა ვ. გოკიელმა, რ. გაბიჩვაძემ, ა. ბალანჩივაძემ, პროფ. შ. ასლანიშვილმა და სხვ.

ნაწარმოებებმა კარგი შეფასება მიიღეს. სკერცოს ავტორს ა. მაჭავარიანს მიეცა მთელი რიგი მითითებები.

მორიგი შემოქმედებითი თათბირი მოწვეულია 15 ოქტომბერს საღ. 9 საათისათვის კომპოზიტორთა კავშირის ბინაზე.

ცირკის სეზონის გახსნა

დღეს მრავალფეროვანი საცირკო პროგრამით იხსნება თბილისის ცირკის 1939-40 წლის სეზონი. პირველი დღის პროგრამაში მონაწილეობას მიიღებენ ცირკის საუკეთესო მსახიობები: აკრობატები, ჟონგლიორები, ეკვილიბრისტები, ბალანსიორები, ექსცენტრიკები, სნაიპერები, მუსიკალური ექსცენტრიკები და სხვა ჟანრის მსახიობები. პირველი დღის პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მხეცებისა და ფრინველების პოპულარული მწვრთნელი სტანისლავ შაფრიკი, კომიკოსი პიმენოვი და სხვანი.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

15 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში შესდგება პროფ. კ. ბაქრაძის ლექცია რუსულ ენაზე, თემა: დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითადი მომენტები.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში პროპაგანდისტების, მომხსენებლების, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას, ყოველდღიურად სწარმოებს კონსულტაციები მარქსიზმ-ლენინიზმის საკითხებზე, საერთაშორისო და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე.

კონსულტაციები სწარმოებს დღის **10** საათიდან **4** საათამდე და საღამოს **8**-დან **11** საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „სევანის მეთევზეები"; **ოქტომბერი** — „ცეცხლოვანი წლები"; **დამკვრელი** — „სევანის მეთევზეები"; **კომკავშირელი (საზაფხულო)** — „აეროგრადი"; **კომკავშირელი (ზამთრის)** —„დარიკო"; **სპარტაკი** — „დიდი ქალაქის ჩირაღდნები"; **რ. ლუქსემბურგის სახ.** — „ვაჟკაცობა"; **26 კომისრის სახ.** — „ლაშქრობა მთაში"; **კომინტერნი** — „შემთხვევა პატარა სადგურზე";

**პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

14 ოქტომბერს	15 ოქტომბერს	16 ოქტომბერს
მუდმ. ადგ. ტალ. № 18 ქეთო და კოტე	მუდმ. ადგ. ტალ. № 19 ა ი დ ა	მუდმ. ადგ. ტალ. № 20 სევილიელი დალაქი

დასაწყისი 8 ს. აბონემენტებზე განაცხადთა მიღება და აბონემენტების გაცემა თეატრის სალაროში. სალარო ღიაა 11—4 ს. და 5—9 ს.

მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი
1939—40 წ. წ. სეზონი

15/X	16/X	17/X
სეზონის გახსნა ნაპერწკლიდან	მზის დაბნელება საქართველოში	ურიელ აკოსტა

დასაწყისი საღ. 8 ს. სალარო ღიაა დილის 12 ს. საღ. 9 საათამდე.

ს ა ხ ც ი რ კ ი, ტელ. 3-11-44

14 ოქტომბერს ცირკის 1939/40 წ. სეზონი გახსნა 14 ოქტომბერს

12 ოქტომბრისათვის აღებული ბილეთები ძალაშია 14 ოქტომბერს, ხოლო 12 და 13 ოქტომბრის მუდმივი ბილეთები ძალაშია ოქტომბრის დამლევამდე, გარდა საერთო გამოსასვლელი დღეებისა.

დასაწყისი საღ. $8^1/_2$ ს. სალარო ღიაა ყოველდღე დღის 12-დან 2 საათამდე და საღ. 5 საათიდან.

საქართველოს ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ დროებით შვებულებაში მყოფნი წითელ არმიაში გაწვევასთან დაკავშირებით უნდა გამოცხადდნენ 15 ოქტომბრამდე. ვინც ამ დროისათვის არ დაბრუნდება, მიმდინარე წელს მეცადინეობაზე არ დაიშვება.

768 **დირექტორი ნ. გელაშვილი.**

წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად (ოქმი № 15) ხდება საქსარეწსაბჭოს საფ. სამკერვალო კავშირის სისტემაში შემავალი არტელის **„უნივერსალური მოხმარების"**

ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა

პრეტენზიები მიიღება 26 ოქტომბრამდე. ლიკვიდკომი იმყოფება თბილისში, ჟორესის ქ. № 38.

3414 **ლ ი კ ვ ი დ კ ო მ ი.**

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თ ე ა ტ რ ი
1939-40 წ. სეზონი.

14/X	მუდმ. ადგ. ტალონი № 21 შემოდგომის აზნაურები
15/X	მუდმ. ადგ. ტალონი № 22 უდანაშაულო დამნაშავენი
16/X	მუდმ. ადგ. ტალონი № 23 ო ტ ე ლ ო

სალარო ღიაა დღის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

ა. წ. 17 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე შრომის სასახლის დარბაზში (გრიბოედოვის ქ. № 19) მოწვეულია

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის ანგარიში. (მომხს. ამხ. **ი. ბურჭულაძე**)
2. სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხს. ამხ. **ვ. სტურუა**).
3. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.
4. დელეგატების არჩევა კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მეორე ყრილობაზე.

3435 **ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი.**

საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატი

მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკების ბალანსი 1939 წ. 1-ლ იანვრისათვის (ათას მან.)

	ა ქ ტ ი ვ ი			პ ა ს ი ვ ი	
1	ძირითადი საშუალებანი	1693	1	საწესდებო ფონდი	2738
2	მასალები, ნედლეული და სათბობი	5375	2	სპეციალური ფონდები	5
3	დაუმთავრებელი წარმოება და ნახევარფაბრიკატები	231	3	რეზერვები და მოსალოდნელი ხარჯები	37
4	საქონელი და მზა ნაწარმი	411	4	მოკლევადიანი დაკრედიტება	5768
5	გადატვირთული საქონელი და შესრულებული სამუშაოები	792	5	ანგარიშსწორება (კრედიტორები)	303
6	საქონელი მყიდველების მიერ გაუნაღდებელი	27	6	დაგროვება საანგარიშო წლისა	36
7	ფულადი საშუალებანი	81			
8	ანგარიშსწორება (დებიტორები)	42			
9	მომავალი წლის ხარჯები	99			
10	შენატანები, ანარიცხები და სხვა განყენებული საშუალებანი	118			
11	ბალანსთაშორისო და შინაანგარიშსწორებანი	18			
	ბ ა ლ ა ნ ს ი	8887		ბ ა ლ ა ნ ს ი	8887

დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1	სხვადასხვა დანაკარგები	146	1	დაგროვება საქონლის და მზა ნაწარმის რეალიზაციით	149
			2	სხვა დაგროვება	33
	ს უ ლ	146		ს უ ლ	182
	დაგროვების სალდო	36		დანაკარგების სალდო	—
	ჯ ა მ ი	182		ჯ ა მ ი	182

დირექტორი **ბ. მანჯგალაძე.** მთ. ბუღჰალტერი **მ. ჭინჭარაძე.**

ბალანსი და დაგროვება-დანაკარგების ანგარიში დამტკიცებულია საქ. სსრ მსუბუქი მრეწველობის სახ. კომისარიატის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1155 საქ. სსრ მსუბუქი მრეწვ. სახ. კომისარიატის ცენტრალური ბუღჰალტერიის უფროსი **ვ. ყიფიანი.**

დეიდა ნინო, ძმები რაფაელ, გრიშა იუწყებიან საყვარელ ექიმ
ქაშუნა (მანასია) თოფურია-გოგაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 15/X 4 ს. ქალ. მე-2 საავადმყოფოდან კამოს, 103. პანაშვიდი იქვე 14/X 6 ს. და 15/X 3 ს. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 3437

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე განყოფილების მუშაკს ამხ. რაფაელ შანიძეს მისი დის
ქაშუნა თოფურიას
გარდაცვალების გამო. 3439

ძმები ვანიჩკა, მიშა, რძლები ნადია, ელენე და ნინო, ძმისწულები ლამარა, ეორიკო ხალვაშები იუწყებიან დაუვიწყარ
იულია კონსტანტინეს-ასულ ხალვაშის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/X 4 ს. ს. ქვიანში. 3424

სიძე ვალოდია, შვილი ვერიჩკა მიქელაძეები იუწყებიან საყვარელ
დომნა ოქროპირის-ასულ დუნდუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/X სამტრედიაში, წერეთლის, 132. 3425

ბიცოლა ძაძუ, ბიძა მაქსიმე, ბიძაშვილები ცარუ, გრიშა კოკაიები, ვალია, მიშა, ჩესია შვილებით, დათიკო, კაკო ჩიქოვანები იუწყებიან
თამაზ ბიჭიკოს-ძე ქუთათელაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/X გეგეჭკორში. 3427

შვილები სონია, დონია, ანიკო, ძმა კოტე, სიძეები გ. კილაძე, ვ. ქავთარაძე და შვილიშვილები იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი
ონისიმე თომას-ძე ტუღუშლაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/X ს. ზედა მაღლაკში. 3430

მშობლები არსენ, მარო, ძმა გრიშა, დები ვერა, მარგო ტყებუჩავები, სიძე სანდრო სიმონია შვილებით კუკურით, ცოტნეთი, იუწყებიან, რომ 17/X ძველ აბაშაში დანიშნულია
ქსენია ტყებუჩავას
პანაშვიდი. 3429

მარიამ თოფურია შვილებით შალვათი, ალექსით, თეიმურაზით, ზინათი, თათუშათი, ნუნუთი, რძლით კლარათი იუწყება საყვარელ
ქაშუნა (მანასია) თოფურია-გოგაძის
გარდაცვალებას. 3436

მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის მომუშავენი: ე. ხემსაძე, ო. ქუთელია, მ. რაქვიაშვილი, ა. რუსია, ნ. პატარაია იუწყებიან უახლოესი თანამშრომლის და ამხანაგის ექიმ
მანასია (ქაშუნა) თოფურიას
გარდაცვალებას. 3428

მიკრობიოლოგიის, ეპიდემიოლოგიის და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის თანამშრომლები თ. შარაშიძე, მ. ფოფხაძე, ტ. შენგელია, მ. ვარდანაშვილი, ნ. იოვაშვილი, ს. ლეჟავა, ნ. ჩომახია, ე. კუჭუხიძე, ნ. ჩოჩუა იუწყებიან კარგი ამხანაგის
ექ. ქაშუნა თოფურიას
გარდაცვალებას. 3433

რკ. გზის მე-6 სკოლის პედ-კოლექტივი იუწყება ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ნიკოლოზ ლეჟავას-ძე კიკვაძის ძმისწულის
ლიზა ვასილის-ასულ კიკვაძე-კოღუაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15/X ს. მაღლაკში. 3434

მეუღლე ერისტო, შვილები ვერიჩკა, ოლია, ჟორა, ვარდენ, რძალი ვალიდა, შვილიშვილი გურამ, სიძე ვალოდია იუწყებიან
დომნა ოქროპირის-ასულ დუნდუას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17/X სამტრედიაში, წერეთლის, 132. 3425

შვილები ტატიანა, მარიკა, ქეთო, ქოცო, ლუტუ, დოდო, სიძეები დათიკო გორგოძე, ლადო შაყულაშვილი, შვილიშვილები იუწყებიან
ოლიმპია ივანეს-ასულ წაქაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება ქალაქის მე-2 საავადმყოფოს პროზექტურიდან 15/X 4½ ს. 3431

დეიდა მარიამ კალაშნიკოვისა შვილებით თამარით, ელენეთი, ვარიათი, შვილიშვილებით ნოდარით, მზიათი, დევით, სიძე კოტე ბერძენიშვილი იუწყებიან საყვარელ
მარუსია პეტრეს-ასულ ხალიაპინის
გარდაცვალებას. 3432

დამწუხრებული მეუღლე ლუბა, ქალიშვილები ციალა, გულიკო, დები მინადორა, ანიჩკა, ელიჩკა ქმრიშვილით იუწყებიან დაუვიწყარ
დათიკო ზაქარიას-ძე სალარეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 ოქტომბერს, 5 ს. სოფ. დიდ ჯიხაიშში.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81. სტამბის დირექტორის—3—77—70, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული ა—657